

ზვანცა კოპლატაძე

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება და პოეტური შემოქმედება

საქართველოს
საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი, 2019

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება და პოეტური შემოქმედება

ქრისტიანული აზროვნებისა და ეკლესიის ისტორიაში ღმრთისმეტყველების კაპადოკიური სკოლის განსაკუთრებული დამსახურების აღიარება-არაღარების საკითხი მკვლევართა შორის სერიოზული კამათის საგნად არასოდეს ქცეულა. ბასილი დიდთან ერთად ამ სკოლის წარმომადგენლები მისი უახლოესი მეგობარი წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი და უმცროსი ძმა, წმ. გრიგოლ ნოსელი იყვნენ. სკოლას ღირსებას ისიც ჰმატებდა, რომ მიუხედავად ერთი საქმისა და ერთი საერთო მიზნის მსახურებისა სამივე მათგანი ღრმა ინდივიდუალურობით გამორჩეული და საკუთარი ხელწერის მქონე მოღვაწე და ავტორი იყო. ამ სკოლის აღიარებულ მეთაურს, ბასილი დიდს, გარდა იმისა, რომ მჭევრმეტყველებაში როგორც ძველ, ანტიკურ, ასევე ახალ, ბიზანტიურ ეპოქაში ბადალი არ მოეძებნება (კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმ. ფოტიოსი), იმ დროისათვის მეცნიერების ყველა ცნობილი დარგის ღრმა ცოდნასთან ერთად, რომელიც ამავდროულად ღმრთისა და მის ქმნილებათა გასაოცარი სიყვარულით იყო გამშვენებული და გასულიერებული, ეკლესიის მოწყობისა და მართვის ნიჭი და ყველა პირადული წყენისა და მიყენებული ტკივილის პასუხგაუცემლად დათმენა გამოარჩევდა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი ეკლესიაში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან შედარებით უპირატესობას განმარტოებულ, მჭვრეტელობით ცხოვრებას ანიჭებდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ „ყოველ ჩვენგანს ყოფიერება არა მხოლოდ პირადად მისთვის, არამედ ყველა იმისთვისაც ეძლევა, რომელთაც მისი საერთო ბუნება აქვთ და ერთი და იმავე ხელით ერთი და იმავე მიზნისთვის არიან შექმნილნი“ (ჰრატ. XXV, 4). აქედან გამომდინარე ახასიათებდა, ალბათ, მთელ მის ცხოვრებას თავისებური არამდგრადობა, მერყეობა „გაქცევასა“ და „დაბრუნებას“ შორის, ანუ საზოგადოებრივი მოღვაწეობისათ-

წინამდებარე ნაშრომში მსოფლიო ეკლესიის მოძღვრის, წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირშია განხილული, შედარებით ნაკლებად ცნობილი სფერო მისი შემოქმედებისა — პოეზია. ღმრთისმეტყველების კაპადოკიური სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა, პოეტური სიტყვის ძალით, განსაკუთრებული აღმაფრენა და მშვენიერება შესძინა როგორც საკუთარი ცხოვრების შესახებ მონათხრობს, ისე სარწმუნოებრივ სწავლებათა განმარტებებსა და ზნეობრივ შეგონებებს. ნაშრომს ერთვის ახალი ქართული თარგმანი პირველი სიტყვისა იმ ხუთი საღმრთისმეტყველო სიტყვიდან, რომელიც წმინდა მამამ ქრისტეს წინააღმდეგ მიმართული არიოზის ერესის უკიდურესი ფრთის მეთაურის, ევნომიოსის ცრუ სწავლების სამხილებლად კონსტანტინეპოლში წარმოთქვა. ძირითადად სწორედ ამ სიტყვების გამო უწოდა მას ეკლესიამ ღმრთისმეტყველი.

ნაშრომი დაიბეჭდა 2020 წ. საქართველოს საეკლესიო კალენდარში.

რედაქტორი **ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)**
რეცენზენტი **მაგდა მჭედლიძე**

© გვ. კოპლატაძე, 2019
© სსგ, 2019

ვის თავის არიდებასა და საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევის სურვილს შორის.[1]

იცოდა რა მჭევრმეტყველების ძალა და ობიექტურად აფასებდა რა თავის შესაძლებლობებს ორატორული ხელოვნების ჟანრში, ღმრთისა და მოყვასის სიყვარული წმ. მამას ხშირად აიძულებდა საკუთარი მოწოდების დათმობასა და იმ გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბმას, რომელსაც ქრისტიანობასთან დასაპირისპირებლად აღორძინებული წარმართული ფილოსოფია შეუნიღბავად (ნეოპლატონიზმი), ან შენიღბული სახით (ერეტიკული მიმდინარეობანი) ეწეოდა ქრისტესა და მისი ეკლესიის წინააღმდეგ. იმ გამარჯვებაში, რომელსაც ღმრთისმეტყველების კაპადოკიურმა სკოლამ მათთან ბრძოლაში მიაღწია, ბასილი დიდსა და გრიგოლ ნოსელთან ერთად, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის წმ. გრიგოლსაც, რომელსაც ყოვლადწმინდა სამებასა და მის პირებზე დოგმატური სწავლების განსამარტად წარმოთქმული სიტყვების გამო, ეკლესიამ წოდება ღმრთისმეტყველისა დამსახურებულად მიანიჭა.

თავი I. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება და მოღვაწეობა

გრიგოლ ღმრთისმეტყველი 329 წელს დაიბადა კაპადოკიაში, ქალაქ ნაზიანზის მახლობლად, სოფელ არიანზში. მის მშობლებს ერქვათ გრიგოლი და ნონა. ნონა ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი, ღრმად მორწმუნე ქალი იყო განსხვავებით ქმრისაგან, რომელიც წარმართულ სარწმუნოებასთან აღრეულ იუდაიზმს სცემდა პატივს. გრიგოლის დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ ნონას დიდ ტკივილს აყენებდა, რადგან სურდა ქმართან სულიერი კავშირიც ჰქონოდა. უფალმა შეისმინა ღმრთისმოსავი ქალის ვედრება; გრიგოლს ძილში ეჩვენა, რომ ზეპირად წარმოთქვამდა 121-ე ფსალმუნის პირველ

[1] **Н. И. Сагарда, Лекции по патрологии. Издательство Русской Православной Церкви. 2004. გვ. 651.**

მუხლს: **„ვიხარე, რომელთა მრქუეს მე: სახლსა უფლისასა შევიდეთ“,** და ეს მაშინ, როცა მეუღლის მრავალგზის თხოვნას – ფსალმუნები წაეკითხა, ყოველთვის მტკიცე უარით პასუხობდა. ამ სასწაულებრივმა სიზმარმა გრიგოლი მიახვედრა, სად უნდა ეძია ჭეშმარიტი ღმერთი. იგი ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო კრებაზე მივიდა და ქრისტეს რწმენა აღიარა. გრიგოლი ჯერ მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ ნაზიანზის საეპისკოპოსო კათედრაც ჩააბარეს.

მშობლებისა და საკუთარი თავის შესახებ გრიგოლ ღმრთისმეტყველი თვითონვე მოგვითხრობს ავტობიოგრაფიული ხასიათის პოეტურ ქმნილებებში,[2] რომელთაგან პირველ რიგში ვრცელი ლექსი „საკუთარ ცხოვრებაზე“ უნდა დავასახელოთ. როგორც თვითონვე გვეუბნება, ძირითადი მიზეზი, რომელმაც მას საკუთარი ცხოვრების გადმოცემა გადააწყვეტინა, იყო სურვილი – ხელი შეეშალა მტრების მიერ შეთხზულ ცილისწამებათა გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. ბოროტი ადამიანები ხომ მათგან დევნილებს სწორედ იმაში სდებენ ბრალს, რასაც თვითონვე სჩადიან. ამ გზით ცდილობენ ისინი მოწინააღმდეგეებს ახალი ბოროტება მიაყენონ, ხოლო თვითონ თავი ბრალდებებისაგან გაითავისუფლონ.

გარდა ამისა, როგორც ავტორი წერს, „ზომიერი სიტყვა მწუხარებას კურნავს, ხოლო ახალგაზრდებისათვის იგი ერთდროულად გაკვეთილიცაა და ტკბობის მიმნიჭებელიც, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, სასიამოვნო დამოძღვრას წარმოადგენს“. მაგრამ რამდენადაც გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ გადმოცემული საკუთარი ცხოვრება გულწრფელი აღსარებაა, იგი ყველას მოსასმენად როდია გამიზნული, არამედ მხოლოდ მათთვის, ვინც ადამიანთაგან მიყენებული სულიერი ჭრილობების მწარე ტკივილები რწმენით დაძლია. ანალოგიისათვის პოეტი იხსენებს ძველ თქმულებას, რომლის მიხედვითაც, ბოროტი იქედნესაგან დაგესლილი თავის ტანჯვაზე

[2] **წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება ძირითადად გადმოცემულია მისივე ავტობიოგრაფიული პოეზიის მიხედვით.** Творения иже во святых отца нашего **Григория Богослова, т. I-II. Издание Сойкина (б. г.) (репринт), Святого-Троицкая Сергиева лавра, 1994. Εἰς τὸν ἑαυτοῦ βίον. PG, t. 37.**

მხოლოდ მას უამბობდა, ვისაც თვითონაც ჰქონდა განცდილი ურჩხულის ბასრი კბილების ძალა, რადგანაც მხოლოდ ამგვარმა ადამიანმა იცოდა, რა ენითაუწერელ ტკივილებს ითმენდა იქედნესაგან დაკბენილი. „ასევე, – ამბობს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – მე ჩემი ტანჯვის ისტორიას გავუზიარებ მხოლოდ მათ, რომელთაც ჩემნაირი სიყვარული, წამება და მწუხარება განუცდიათ“. პოეტი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამგვარნი მოისმენენ მისი სულის ბიოგრაფიას თანაგრძნობითა და სიყვარულით, მაშინ როცა, მათთვის, რომელთაც რწმენა ზერელედ, მხოლოდ გულის ფიცარზე აქვთ აღბეჭდილი და რომელთა შინაგანი სამყაროსთვისაც უცხოა მეუფის ძლიერი სიყვარული, რადგანაც მხოლოდ ეფემერულზე ზრუნავენ, მისი თხრობა მხოლოდ ირონიული ღიმილის მომგვრელი იქნება.

„ჩემი ცხოვრება ანუ ჩემი მწუხარება“, – ამბობს იგი და მართლაც, თხრობისას მწუხარებათა ეს ჯაჭვი მხოლოდ ალაგ-ალაგაა გაწყვეტილი ნათელი მოგონებებით, რომლებიც პირველ რიგში მშობლებსა და ოჯახურ წრეში გატარებული ყრმობის წლებს უკავშირდება. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას გრიგოლ ღმრთისმეტყველს მშობელთა სახეების გახსენება ჰგვრის. „მამაჩემი, – წერს იგი, – მშვენიერი და ფრიად კეთილი მოხუცი იყო, ზნეკეთილი, ცხოვრებაში სამაგალითო, ჭეშმარიტი პატრიარქი, მეორე აბრაამი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად იგი მცდარ გზას ადგა, ხოლო შემდეგ ქრისტეს მეგობარი და მისი ერთ-ერთი მწყემსმთავარიც კი შეიქნა, – ნაზიანზის ეპისკოპოსი გახდა. სათნოებაში მეუღლეს ტოლს არ უდებდა ნონა, პირიქით, თავდაპირველად ღმრთისმოსაობით იგი ქმარს აღემატებოდა კიდეც, რადგანაც ქალი მხოლოდ სხეულით იყო, თორემ ზნითა და ჩვეულებებით მამაკაცებზე მაღლაც კი იდგა. დედის გონიერების დასადასტურებლად გრიგოლ ღმრთისმეტყველი მის მრავალ საუკეთესო თვისებათაგან იხსენებს ერთს, რომელიც თავმდაბლობაზე მეტყველებს. ნონას ღრმად სჯეროდა, რომ უმჯობესია ისიც კი დაფარო, რაც ცხადია, ვიდრე ლაპარაკის სიყვარულით გატაცებულმა იმით იყოყოჩო, რაც

დაფარული უნდა იყოს. ამ გზაზე მას ხელმძღვანელობდა უდიდესი მოძღვარი – ღმრთის შიში.

ნონასა და გრიგოლს შვილი კარგა ხანს არ შეეძინათ. ნონამ, რომელსაც ძალიან უნდოდა ვაჟიშვილი ჰყოლოდა, სურვილის ასრულება ღმერთს სთხოვა და აღთქმა დადო, რომ მას უფალს მიუძღვნიდა. ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და ქალმა მომავალი შვილის სახე ჩვენებაში იხილა. ჩვენებიდანვე შეიტყო ისიც, თუ რომელი სახელი უნდა დაერქმია ვაჟიშვილისათვის. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „თუ მე დედის მიერ მიცემული აღთქმის ღირსი ვარ, ეს წყალობაა – ღმრთისაგან ბოძებული, ხოლო უკეთუ აღთქმას არ შევეფერები, ეს უკვე ჩემი ცოდვაა“. მისი რწმენით, დედის აღთქმამ განსაზღვრა მისი უფროსი ვაჟიშვილის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ყოფასთან, რომელშიც იგი თავს ყოველთვის უცხოდ გრძნობდა: „შევაბიჯებ თუ არა ცხოვრებაში, მისთვის მაშინვე უცხო ვხდები, გაუცხოებული კი მშვენივრად ვგრძნობ თავს, რადგანაც ღმრთისთვისა ვარ მიძღვნილი, ვითარცა კრავი ან საყვარელი ხბო, მსხვერპლი კეთილშობილი და გონიერი, როგორც ახალი სამუელი“.

ჩვილის სახვევებიდან მოყოლებული, იგი მშვენიერების სამეფოში იზრდებოდა, რადგან თვალწინ ჰყავდა ადამიანური სათნოების სრულყოფილი ნიმუშები – მშობლები. ამგვარი გარემოს წყალობით ყრმობაშივე შეიძინა მოხუცთათვის დამახასიათებელი სიდინჯე. მისი გულმოდგინება საკუთარი თავის სრულყოფისათვის დღითიდღე იზრდებოდა, რაშიც ხელს უწყობდა საღმრთო წიგნების კითხვა, რომელიც დიდ სიხარულს ანიჭებდა. როცა ამ წლებს იხსენებს, გრიგოლ ნაზიანზელი ყოყმანობს, გაიხსენოს თუ არა ის სასწაულები, რომლითაც უფალი, მიიღო რა მისი ერთგულება კეთილ დასაწყისად, სამსახურისაკენ აქეზებდა. დაფარვა მათი უმადურობა იქნება, ხოლო გახსენება თავის მოწონების გარეშე არ გამოვაო, – წერს იგი და საბოლოოდ მაინც დუმილს ამჯობინებს, რადგან მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ თვითონ ახსოვდა და იცოდა ყოველივე.

უმაღლესი ლიტერატურული და რიტორიკული განათლება მან ძმასთან, კესარიოსთან ერთად, ჯერ კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში მიიღო კარტერიოსთან. აქვე გაიცნო ბასილი დიდიც. აქედან გრიგოლი ჯერ პალესტინის კესარიაში გადავიდა, სადაც საფუძვლიანად გაეცნო ძველი აღთქმის წიგნებს და რიტორიკული ხელოვნება შეისწავლა; კესარიის პალესტინიდან კი, დაახლოებით 350 წელს ალექსანდრიაში გაემგზავრა, ხოლო იქიდან ათენში, რომელიც თავისი სახელგანთქმული წარმართული აკადემიით ახალგაზრდებს მეოთხე საუკუნეშიც იზიდავდა. სამწუხაროდ, დრო, რომელიც მან ათენში წასასვლელად შეარჩია, შეუფერებელი გამოდგა ზღვით მოგზაურობისათვის. კუნძულ კვიპროსთან გამძვინვარებულმა ქარებმა ხომალდი ტალღებზე ნაფოტივით აათამაშეს. მიწა, ზღვა, ეთერი და ჩამობნელებული ზეცა ერთ ღამედ შეირწყაო, – იგონებს გრიგოლ ღმრთისმეტყველი. ხომალდის გარშემო წყალი მაღალ კედლებად აღიმართა. ერთმანეთში აირია გემის მეპატრონეთა, მსახურთა და მგზავრთა ტირილნარევი ხმები. ყველანი, ისინიც კი, რომელთაც ადრე არ იცოდნენ ჭეშმარიტი ღმერთი, საშველად ქრისტეს მოუხმობდნენ, რადგანაც ყველაზე შთამაგონებელი გაკვეთილი სწორედ შიშია. როცა ხომალდი ძლიერი დარტყმებისაგან ორად გაიპო, მოულოდნელად მოვიდა ხსნა ფინიკიელი ვაჭრების სახით. ფინიკიელებმა, თუმცა თავადაც შეშინებულნი იყვნენ, დასაღუპად განწირულთა ვედრებას ყური ათხოვეს და მგზავრები ჩასაძირად გამზადებული გემიდან თავიანთ ხომალდზე გადაიყვანეს. აბობოქრებული ზღვის მძვინვარება კიდევ მრავალი დღის განმავლობაში გაგრძელდა. არავინ იცოდა, საით მიცურავდნენ. ყველას ხორციელი სიკვდილისა ეშინოდა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის კი განსაკუთრებით თავზარდამცემი სულიერი სიკვდილი იყო, რადგანაც შეიძლებოდა, არასტუმართმოყვარე წყლის წყალობით, მოკლებოდა განწმენდ წყალს, რომელიც მას ღმერთთან შეაერთებდა. აქ პოეტი ნათლობის განბანვას გულისხმობს: იგი ხომ ჯერ კიდევ მოუნათლავი იყო. ამ ქვეყნიდან მოუნათლავად წასვლის შიშმა მისი მწუხარება ისე

გაამძაფრა, რომ მისმა სავედრებელმა ღაღადისმა ტალღების ხმაურიც კი დაფარა და, რაც ძნელი დასაჯერებელია, სხვებს საკუთარი გასაჭირი დაავიწყა, მის ტანჯვას ყველა თანაგრძნობით მოეკიდა და მის ვედრებას თავისი ხმაც შეუერთა.

როცა უკვე ხსნის ყოველგვარი იმედი გადაიწურა, რადგან არსად ჩანდა არც ვარსკვლავები, არც ანთებული შუქურა და არც ხმელეთი, გრიგოლმა ძალა მოიკრიბა, სულიერი მზერა ქრისტესაკენ წარმართა და შეევედრა: „უკეთუ უდიდეს საფრთხეს თავს დავაღწევ, შენთვის ვიცხოვრებ, ხოლო თუ არ გადამარჩენ, დაკარგავ მსახურს. ახლაც შეშფოთებულია მოწაფე შენი, განმიფრთხე სიზმარი, ან კიდევ წყალდაწყალ მოდი და საფრთხეს ბოლო მოუღე“.[3]

ამ ვედრებას შედეგად სასწაული მოჰყვა: აბობოქრებული ქარები ჩაწყნარდნენ, ზღვაც დამშვიდდა და ხომალდმაც რყევა შეწყვიტა; და, რაც მთავარია, ამ სასწაულის შედეგად, ვინც კი ხომალდზე იყო, იქიდან ყველა ქრისტეს მიმართ მოწიწების გრძნობით გადმოვიდა.

ათენის აკადემიაში სწავლისას გრიგოლ ღმრთისმეტყველი გულმოდგინედ ცდილობდა პირველი ყოფილიყო იმათ შორის, რომელთაც იცოდნენ, თუ ვინ არის თვითონ **პირველი** (იგულისხმება ღმერთი). მაშინ, როცა მისი ტოლები ახალგაზრდული ხალისით ეძლეოდნენ გართობას, იგი მშვიდსა და წყნარ ცხოვრებას ეწეოდა. ღმერთმა აქაც დააჯილდოვა, – მეგობრობით დააკავშირა კაცთან, რომელიც გონებითაც და ცხოვრების წესითაც ყველაზე მაღლა იდგა. ეს იყო ბასილი დიდი. როგორც გრიგოლ ნაზიანზელი წერს, მათ ჰქონდათ ერთი საერთო სული ორ სხეულში. ამ სულიერ ერთობას საფუძვლად მტკიცე რწმენა და სრულყოფისაკენ სწრაფვა ედო. როცა ერთმანეთის ნდობა მოიპოვეს და ერთმანეთს გულის ყველაზე ფარული ზრახვებიც კი გაუზიარეს, მაშინ შეაკავშირა ისინი სიყვარულმა, რომლის საფუძველსაც თანამოაზრეობა და ერთი მიზნისკენ მისწრაფება ქმნის. მათთან დაახლოება იმპერიის ტახტის მემკვი-

[3] **გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამ შემთხვევაში თავის მდგომარეობას პეტრე მოციქულის მდგომარეობას ადარებს, რომელიც წყალდაწყალ სიარულისას შეშინდა, ჩაძირვა იწყო და მშველელად იესო ქრისტეს უხმო (მთ. XIV, 28-32).**

დრემ იულიანემაც მოინდომა, მაგრამ მას უკვე ეტყობოდა განსაკუთრებით ძლიერი ლტოლვა წარმართობისაკენ, რის გამოც, განსხვავებით ბასილი დიდისაგან, რომელიც მისთვის წმიდა წერილის განმარტებას მოთმინებით ცდილობდა, გრიგოლ ღმრთისმეტყველს მასთან გატარებული დრო დაკარგულად მიაჩნდა.

ამასობაში გრიგოლ ღმრთისმეტყველს 30 წელი შეუსრულდა. სწავლის წლებიც გაილია. განშორების დრო ახლოვდებოდა; პირველად ბასილი დიდი გაემგზავრა მშობლიურ ნეოკესარიაში. გრიგოლ ნაზიანზელი რამდენიმე ხანს კიდევ დარჩა ათენში, მაგრამ მეგობრის გარეშე გაუჭირდა და თუმცა ყველანი, უცნობებიცა და ნაცნობებიც, მასწავლებლებიცა და თანატოლებიც ერთხმად სთხოვდნენ ათენში დარჩენას, 357 წელს მაინც გადაწყვიტა მშობლიურ მხარეში დაბრუნებულიყო, რომელიც საოცარი ძალით იზიდავდა. ამიტომაც ათენის მაღალ საზოგადოებაში ტრიალსა და ორატორულ ხელოვნებაში პირველობას მშობლიურ სოფელში განმარტოება და სიბრძნისმოყვარეობისათვის თავის მიცემა ამჯობინა. სამშობლოში უხმობდნენ, აგრეთვე, დროითა და სიბერით დაშინებული მშობლებიც.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი, თაყვანისმცემელთა შიშით, ათენიდან ფარულად გაემგზავრა. გზად კონსტანტინეპოლში გაიარა, სადაც მოულოდნელად შეხვდა თავის ძმას, კესარიოსს, რომელსაც ამ დროისათვის ცნობილი მკურნალის სახელი უკვე მოპოვებული ჰქონდა და მომავალიც ნათელ ფერებში ესახებოდა; მაგრამ გრიგოლმა შეძლო დაერწმუნებინა უმცროსი ძმა, რომ იმპერატორის კარზე, რომელიც არიოზის ერესის მიმდევარი იყო, მიღწეულ წარმატებასა და უზრუნველად ცხოვრებას სამშობლოში, მოხუც მშობლებთან დაბრუნება სჯობდა და კესარიოსიც დაეთანხმა, მაგრამ ამქვეყნიური დიდების მოპოვების ცდუნებას ვერ გაუძლო და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დედაქალაქს მიაშურა, სადაც სამსახურს ამჯერად იმპერატორი იულიანეს სამეფო კარზე შეუდგა.

ეს ის იულიანე იყო, რომელიც ათენის წარმართულ აკადემიაში სწავლის დროს ბასილსა და გრიგოლთან დაახლოებას ცდილობდა

და რომელშიც ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი წმ. გრიგოლმა თავიდანვე ამოიცნო.

ცნობილია, რომ იმპერატორის ტახტზე ასვლის შემდეგ იულიანე ჭეშმარიტებას ცხადად დაუპირისპირდა, სრულიად ფანტასტიკური გეგმა ჩაიფიქრა და რომის ქრისტიანული იმპერიის უკან, წარმართობაზე დაბრუნება მოინდომა. ამიტომაც შევიდა იგი ისტორიაში განდგომილის ზედწოდებით. ბუნებრივია, მასთან სამსახურის დაწყებით კესარიოსმა დიდი ტკივილი მიაყენა როგორც მშობლებს, ასევე ძმასაც, მაგრამ საბედნიეროდ, როცა იგრძნო, რომ იულიანეს წყალობის მოსაპოვებლად ქრისტიანობა უნდა დაეთმო, მეორის სასარგებლოდ პირველი დათმო და შინ დაბრუნდა, თუმცა იულიანეს სიკვდილის შემდეგ, იმპერატორი ვალენტის დროს, ისევ საერო სამსახურში ჩადგა და ფინანსური უწყების მოხელე გახდა. კესარიოსი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს მიწისძვრის დროს, რომელიც ნიკეაში 368 წლის 11 ოქტომბერს მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მისმა გარდაცვალებამ გრიგოლს დიდი ტკივილი მიაყენა.

როგორც ჩანს, კაპადოკიაში დაბრუნების შემდეგ გრიგოლი მალევე მოინათლა და იძულებული გახდა მომავალი ცხოვრების გზაზე დაფიქრებულიყო. მან, როგორც თვითონვე გვეუბნება, შინაგან სამსჯავროზე შეკრიბა მეგობრები, ანუ გულისმიერი ზრახვანი, – ეს ყველაზე სანდო მრჩევლები. როცა უკეთესთა შორის საუკეთესო გზას ეძებდა, მისი გონება საშინელმა მორევმა მოიცვა. ის, რომ ყოველი ხორციელი მიზანი და წადილი ღრმად უნდა დაემარხა, ეს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა შეუცდომლად აერჩია გზა, რომლითაც ღმრთის სამსახურს ყველაზე უკეთ შეძლებდა. „თუ რამეს შეიძლება შევადარო ჩემი მდგომარეობა, – წერს იგი, – მე ვგავდი ადამიანს, რომელსაც ჩაფიქრებული აქვს შორეული მოგზაურობა, მაგრამ გაურბის რა ზღვით გამგზავრებას, ეძებს გზას, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება“.

ბოლოს და ბოლოს მისი არჩევანი საშუალო გზაზე შეჩერდა.

მას შენიშნული ჰქონდა, რომ ადამიანები, რომელთაც სისხლსავსე, ქმედითი ცხოვრება მოსწონთ, სასარგებლონი არიან საზოგადოებისათვის, მაგრამ უსარგებლონი საკუთარი თავისათვის. ისინი ვერ ახერხებენ, თავი აარიდონ ცხოვრებისაგან მიღებულ მრავალ წყენასა და ტკივილს, რის გამოც მათი რბილი ზნე მშფოთვარე ხდება; ხოლო რაც სოფლისაგან განშორებულებს, – განდეგილებს შეეხება, მათ ცხოვრება უკეთესად აქვთ მოწყობილი და გონებით ჭვრეტენ ღმერთს, მაგრამ სასარგებლონი მხოლოდ საკუთარი თავისთვის არიან. მათი სიყვარული ვიწრო წრეშია ჩაკეტილი, ხოლო ცხოვრება, რომელსაც ეწევიან, – უჩვეულო და მკაცრი.

აქედან გამომდინარე, გრიგოლ ღმრთისმეტყველმა, განდეგილთა და საზოგადოებაში მცხოვრებთა შორის საშუალო გზის არჩევა გადაწყვიტა; პირველთაგან გონების კონცენტრირებისაკენ სწრაფვა ისესხა, ხოლო მეორეთგან – მისწრაფება, ყოფილიყვნენ სასარგებლონი საზოგადოებისათვის. ამგვარი გზის არჩევას ხელი შეუწყო ზრუნვამაც მოხუც მშობლებზე; მშობლების პატივისცემა, რომელთაგან დავალებულნი ვართ იმით, რომ ღმერთს შევიცნობთ, ხომ იგივე ღმრთისმოსაობაა. გრიგოლ ნაზიანზელი უფრთხილდებოდა მათ სიბერეს, ხელით დაჰყავდა ისინი, რათა თავადაც ბედნიერი სიბერე ჰქონოდა. რაც შეეხება საეკლესიო კათედრას, იგი მას დიდ პატივად ეჩვენებოდა, დაახლოებით იმად, რაც მზის სხივია სუსტი თვალებისათვის. როცა ის ასე მსჯელობდა თავის მომავალ ცხოვრებაზე და მამამისმაც, ნაზიანზის ეპისკოპოსმაც, ზუსტად იცოდა მისი შეხედულებანი, გაუგებარი მიზეზით, შესაძლოა მამობრივი სიყვარულით წაქეზებულმა (ძალაუფლების მქონეთა სიყვარული ზოგჯერ მძლავრობს კიდეც), რათა შვილი სასულიერო ბორკილებით შეეკრა, მისი ნების წინააღმდეგ, დაახლოებით 362 წელს იგი მღვდლად აკურთხა. ამ იძულებისას გრიგოლ ღმრთისმეტყველმა დაივიწყა ყოველივე: მეგობრები, მშობლები, მამული და პონტოში წავიდა იმ იმედით, რომ ღმრთეებრივი მეგობარი განუკურნავდა მწუხარებას.

ამ დროისათვის ბასილი დიდს პონტოში, საგვარეულო მამულში, უკვე დაარსებული ჰქონდა მონასტერი, სადაც იგი უფალთან თანაცხოვრებით რამდენიმე ძმასთან ერთად შრომობდა; თუმცა ბოლოს მაინც დაბრუნდა ნაზიანზში, რადგან მამის მუდარის მიმართ გულგრილი ვერ დარჩა. ამის შემდეგ მას ახალი უბედურება დაატყდა თავს, გარდაეცვალა ძმა კესარიოსი, რომელსაც სახელმწიფო ხაზინა ებარა. მიცვალებულის ქონებას მრავალი წაეპოტინა; შინაურები, უცხოები, მეგობრები ერთმანეთს ეცილებოდნენ მიტაცებამისაკუთრებაში. როგორც პოეტი წერს, როცა მუხა დაეცემა, ვინ იტყვის უარს შეშის მარაგის დაგროვებაზე?

363-364 წლებში ნაზიანზის ეპარქიაში განხეთქილება დაიწყო, რომლის მიზეზიც ნაზიანზის ეპისკოპოსის, უფროსი გრიგოლის არიოზულ მრწამსზე ხელის მოწერა გახდა. მღვდელმთავარს დაუპირისპირდნენ ნიკეის მრწამსის ერთგული ბერები, რომელთაც გვერდით სამწყსოს მნიშვნელოვანი ნაწილიც დაუდგა. განხეთქილებას ბოლო, ღმრთის შემწეობით, წმ. გრიგოლის გონივრული რჩევით მოეღო, კერძოდ, მან მამა დაარწმუნა, საჯაროდ ეღიარებინა ნიკეის მრწამსი და ამ გზით დაემტკიცებინა, რომ იგი ქრისტეს ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი იყო.

ამავე ხანებში ბასილი დიდს, რომელმაც იმპერიის არიოზული ხელისუფლებისაგან ეკლესიის დასაცავად განმარტოებულ ასკეტურ ცხოვრებაზე უარი თქვა და მსახურება კესარიის ეკლესიაში დაიწყო, უთანხმოება მოუვიდა კესარიის ეპისკოპოს ევსევისთან. თუმცა მიზეზი ამ უთანხმოებისა ევსევის ადამიანური სისუსტე იყო: მას გაუჭირდა შერიგება იმასთან, რომ მღვდელს, როგორც სარწმუნოებრივი მოძღვრების მცოდნესა და დიდ მქადაგებელს, კესარიის ეკლესიაში უფრო დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ვიდრე მღვდელმთავარს; უთანხმოება რომ არ გაღრმავებულიყო და კონფლიქტამდე არ მისულიყო, ბასილი დიდმა პონტოში მის მიერვე დაარსებულ მონასტერში განმარტოება გადაწყვიტა. იგივე ურჩია წმ. გრიგოლმაც და თვითონაც თან გაჰყვა.

არიოზელთა განუწყვეტელი თავდასხმებით შევიწროვებული ევსევი მალევე მიხვდა, რომ მას მარტო, მცოდნე და გამოცდილი თანაშემწის გარეშე, კესარია-კაპადოკიის ეკლესიის მართვა გაუჭირდებოდა და გრიგოლს სთხოვა ბასილთან შეერიგებინა. წმინდა მამამ ამ შერიგების აუცილებლობაში მეგობარიც დაარწმუნა და ბასილი კაპადოკიის დედაქალაქში დაბრუნდა.

შერიგება მართლაც გულწრფელი გამოდგა, რაც მალევე საქმითაც განცხადდა. როგორც ბასილი დიდისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში თავად წმ. გრიგოლი წერს, ბასილი ევსევისთვის ყველაფერი გახდა: კეთილი მრჩეველიც, მარჯვენა ხელიც, წმ. წერილის განმმარტებელიც, მოძღვარიც, სიბერის კვერთხიცა და რწმენის საყრდენიც.[4]

370 წელს ევსევი კესარიელი გარდაიცვალა. ცხადია, კესარიის საეპისკოპოსო ტახტზე ასვლის ერთადერთი ღირსეული კანდიდატი ბასილი დიდი იყო, მაგრამ მისი ეპისკოპოსად ხელთდასხმა, არიოზის ერესის მიმდევარ ეპისკოპოსთა სიმრავლის გამო, მაინც კითხვის ქვეშ დადგა. ამ დროს შესაშური ენერგია გამოიჩინა უფროსმა გრიგოლ ნაზიანზელმა, რომელმაც წერილები მისწერა ევსევი სამოსატელსა და კესარიელებს. პირველი დაარწმუნა, რომ მისი ჩამოსვლა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეკლესიის ინტერესების დასაცავად აუცილებელი იყო, ხოლო დედაქალაქის მცხოვრებთ ბასილის არჩევისაკენ მოუწოდა. გარდა ამისა, სიბერით დაუძლურებულმა, თითქმის ასი წლის მოხუცმა, ბასილისთვის ხმის მისაცემად კესარიაში თავი საკაცით ჩააყვანინა.

ბრძოლა ბასილი დიდის მღვდელმთავრის ტახტიდან ჩამოგდებისათვის მისი აღსაყდრების დღიდანვე დაიწყო. ისედაც გათავხედებულ ერეტიკოსებს ერეტიკული ხელისუფლების მხარდაჭერა კიდევ უფრო ათავხედებდა. როცა ხელისუფლებამ მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, ბასილი დიდი ვერც გადაიბირა და ვერც კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტობიდან გადააყენა, მისი ხელისუფლებისა

[4] **წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი. ეპიტაფია ბასილი დიდისა. ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გ. კოპლატაძემ. საქართველოს ეკლესიის 2016 წლის კალენდარი, სსგ. თბილისი, გვ. 151.**

და გავლენის სფეროს შესამცირებლად მეტროპოლია ორად გაყო. ერთის დედაქალაქად კესარია დარჩა, ხოლო მეორის ცენტრი ქალაქი ტიანა გახდა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი მოგვითხრობს იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც ახალი მეტროპოლიის მთავარეპისკოპოს ანთიმოზ ტიანელს ბასილთან ჰქონდა და ბრალს მას სდებს. ანთიმოზის „მოღვაწეობის“ მიზანი ბასილი დიდის, რაც შეიძლება მეტად, შევიწროება იყო. იგი „იტაცებდა შემოსავლებს“ და მღვდლების გადასაბირებლად ყოველ ღონეს ხმარობდა, ხოლო უკეთუ ვინმე დაუმორჩილებლობას გაუბედავდა, სასწრაფოდ თავისი მომხრით ცვლიდა.

პასუხად ბასილი დიდმა ახალი საეპისკოპოსო კათედრები დააარსა იმ ქალაქებში, სადაც ისინი ადრე არ იყო და მართლმადიდებელ მღვდელმთავართა რიცხვის გაზრდას ამ გზით შეეცადა. ასე დაარსა მან საეპისკოპოსო კათედრა პატარა ქალაქ სასიმაში და მის ეპისკოპოსად გრიგოლ ღმრთისმეტყველი აკურთხა. სასიმა ნაზიანზსა და ტიანას შორის მდებარეობდა და მის მმართველობაზე პრეტენზიას ანთიმოზიც აცხადებდა. თავდაპირველად გრიგოლი მეგობარს არ დაეთანხმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლოს, როგორც თვითონ წერს, „ქედი მაინც მოუდრიკა“ და 372 წლის მახლობლად მისი ხელთდასხმა სასიმას ეპისკოპოსად ნაზიანზში მაინც შედგა, თუმცა მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულით არ მოდრეკილა“ და მოვალეობა ამ ქალაქის მწყემსმთავრისა არასოდეს შეუსრულებია.

სასიმაში გზა სამად იყოფოდა. გრიგოლ ნაზიანზელის აღწერით, ეს იყო უწყლო და ხრიოკი ადგილი, სადაც მიწა ბალახსაც კი არ აღმოაცენებდა, საშინლად მოსაწყენი და უფერული. სასიმაში ყოველთვის მტვრის ბუღი ტრიალებდა, გამუდმებით ისმოდა ეტლების ბორბლების რახა-რუხი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ერთმანეთში არეული ხმები. აი, ასეთ ქალაქში მიავლინა იგი ბასილი დიდმა იმ მიზნით, რომ ეს მხარე, რომელსაც არიოზის მიმდევარი იმპერატორის, ვალენტის გადაწყვეტილებით, ართმევდნენ, სასიმაში ახალი საეპისკოპოსო კათედრის დაარსებით როგორმე შეენ-

არჩუნებინა. გრიგოლ ღმრთისმეტყველზე ვერც მამის ვედრებამ იმოქმედა, იგი სასიმაში არ წასულა. მაშინ მამამ სთხოვა ნაზიანზის ეპარქიის მართვაში მაინც შეშველებოდა უკვე ღრმად მოხუცსა და დაუძლურებულს.

373-374 წლებში, დაახლოებით ასი წლის ასაკში გარდაიცვალა უფროსი გრიგოლი, მალე მას მეუღლეც მიჰყვა. მორწმუნეები ევედრებოდნენ წმინდა გრიგოლს, მამის კათედრა დაეკავებინა ნაზიანზში; იმ მცირე ხნის განმავლობაშიც კი, როცა იგი ნაზიანზის მწყემსმთავრის მოვალეობას ასრულებდა, ეპისკოპოსებს ევედრებოდა, დახმარება გაეწიათ მისთვის და ამ პატარა ქალაქის მღვდელმთავრად ვინმე აერჩიათ. თვითონ უარის ორ მიზეზს ასახელებდა: ჯერ ერთი, რომ საჯარო განხილვის შედეგად არ იყო არჩეული და მეორეც, დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, განმარტოების მიზნით, მეგობრებსაც გასცლოდა და საქმესაც. როცა დაინახა, რომ არაფერი გამოსდიოდა, 379 წელს, როგორც ლტოლვილმა, სელევკიაში თეკლეს სახელგანთქმულ ტაძარს მიაშურა იმ იმედით, რომ ამასობაში ნაზიანზელები დაიღლებოდნენ და ეპისკოპოსად სხვას აირჩევდნენ. აქ შეიტყო მან ბასილი დიდის გარდაცვალების შესახებ, რამაც მარტოობის განცდა კიდევ უფრო გაუმძაფრა. შემდგომში კი ღმერთმა მისი ცხოვრების წარმართვა სულ სხვაგვარად ინება.

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვით, ორი რომიდან პირველი კეთილ გზას დაადგა და მთელი დასავლეთი მხსნელი სიტყვით შეაკავშირა, ხოლო მეორე რომი, ანუ კონსტანტინეპოლი, რომელმაც თავდაპირველად სწორი გზა აირჩია, თავქარიანი და „ყოველგვარი ბოროტებით აღსავსე ალექსანდრიიდან“ არიოზის საძაგელი და ცრუ მოძღვრების მიღების შემდეგ, უფსკრულისაკენ დაექანა. მიუხედავად ამისა, დედაქალაქში ჯერ კიდევ ბრწყინავდა ჭეშმარიტი რწმენა. მართალია, მორწმუნეთა რიცხვი მცირე იყო, მაგრამ უფალი ხომ სათვალავში არა სიმრავლეს, არამედ გულთა სიწმიდეს იღებს. სწორედ ამ ქალაქში გაიგზავნა სულიწმიდის მადლით წმინდა

გრიგოლი. განმარტოებული სოფლური ცხოვრების მიუხედავად, ამ დროისათვის გრიგოლ ნაზიანზელს უკვე ბევრი იცნობდა როგორც დიდებულ მჭევრმეტყველსა და მართლმადიდებლური რწმენის ერთგულ დამცველს. დედაქალაქში იგი 379 წელს მიიწვიეს დევნას გადარჩენილმა მართლმადიდებლებმა, როგორც სასულიერო, ასევე საერო წრიდან, რათა ღმრთისმოსაობის ნაკადებით გაეცოცხლებინა სულები, რომელთაც, უწყლობით ჭკნობაშეპარული ხეების მსგავსად, გახმობა ემუქრებოდათ.

ეპისკოპოსი პავლეს გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში, კონსტანტინეპოლის ეკლესია ფაქტობრივად არიოზელთა ხელში იყო. იმპერიის დედაქალაქის ეკლესიას სათავეში ერეტიკოსი დემოფილე ედგა. მართლმადიდებელ ქრისტიანთა მცირერიცხოვან სამწყსოს არც მწყემსმთავარი ჰყავდა და ერთი ტაძარიც კი არ ჰქონდა ღმრთისმსახურების ღიად ჩატარებისათვის. წმინდა მამას უნდა გაეწყვიტა ობობას ქსელი, ანუ მრავალი მიმოქცევის მქონე ჩახლართული სიტყვების ზეგავლენისაგან, რომელიც რწმენის უბრალოებას ანადგურებს, გაეთავისუფლებინა ადამიანები და განემტკიცებინა ისინი ჭეშმარიტი მოძღვრებით.

თავდაპირველად ქალაქი, რომლის მოსახლეობაც ძირითადად არიოზის მოძღვრებას მისდევდა, მტრულად შეხვდა წმიდა გრიგოლს. უბრალო ხალხის წარმოდგენაში იგი მრავალი ღმერთის მქადაგებელი იყო, რადგან ამ ხალხმა არ იცოდა, როგორ წარმოედგინა ერთი სამებად და სამება ერთად. რაც შეეხება კონსტანტინეპოლის მაღალ წრეს, მან კიდევ უფრო მტრული განწყობილება გამოამჟღავნა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიმართ, რადგან უჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ამ ღარიბ, მუდამ თავდახრილად მოსიარულე, ცუდად ჩაცმულ, მოხეტიალე მოგზაურს უპირატესობა უნდა მოეპოვებინა სიძლიერითა და სილამაზით გამორჩეულ ადამიანებთან შედარებით. მათგან თითქოს ასეთი სიტყვები ისმოდა: „ჩვენ ვპირფერობთ, შენ კი – არა; ჩვენ პატივს მაღალ სავარძლებს ვცემთ, შენ კი – ღმრთისმოშიშებას. ჩვენ დიდებული კერძები გვიყვარს, შენ კი უბრალო,

რომლის მთელი საკმაზი მხოლოდ მარილია და გძულს ქედმაღლობის სიმწარე. ჩვენ დროისა და ხალხის ჭირვეულობის (ახირების) მონები ვართ და საიდანაც ქარი დაუბერავს, იქითკენ მივიქცევით. ჩვენი მოძღვრება ქამელეონის მსგავსია და მუდამ ახალ-ახალ ფერს იღებს, შენ კი უძრავი გრდემლი ხარ. როგორი სითავხედეა! თითქოს რწმენა ყოველთვის ერთი და იგივე იყოს! რატომ ზღუდავ ასე ჭეშმარიტების დოგმატს, მიგვყავს რა ყოველივე ერთ მოსაწყენ ბილიკზე სიტყვისა?“

მაგრამ, როგორც თავისი თავის შესახებ თვითონვე წერს, ამ შეუხედავმა, ღარიბმა, მოტეხილმა, სნეულმა, ნახევრად დაბრმავებულმა და თითქმის ხმადაკარგულმა მოხუცმა, ჭეშმარიტების მსახურებით, რომელსაც განსაკუთრებულ ძალასა და მომხიბვლელობას მისი გასაოცარი ნიჭი და უნარი მჭევრმეტყველებისა ანიჭებდა, შეიძლება ითქვას, სასწაული მოახდინა. ყოვლადწმიდა სამებაზე მისი ქადაგებების მსმენელთა რიცხვი, რომელიც თავდაპირველად ძალიან მცირე იყო, უსწრაფესად გაიზარდა და არა მხოლოდ მართლმადიდებლები, არამედ წარმართებიცა და თვით ერეტიკოსებიც კი მიიზიდა, რამაც არიოზელები განსაკუთრებით გააღიზიანა. მაგრამ მათმა თითქმის ყოველდღიურმა თავდასხმებმა ჭეშმარიტების მქადაგებელი კიდევ უფრო გააძლიერა და მსმენელთა რიცხვის გაზრდასაც ხელი დიდად შეუწყო.

ამავდროულად წმინდა მამას თავს ახალი განსაცდელი დაატყდა, რომელიც მას ალექსანდრიელ კინიკოს ფილოსოფოს მაქსიმთან მეგობრობამ მოუტანა. სიცოფემდე ბოროტმა, წვრილფეხობიდან გამოსულმა თაღლითმა ღრმა ჭრილობა მიაყენა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მგრძნობიარე სულს. ამ კაცმა, რომლის მთელ ღირსებას, როგორც თავად წმიდა მამა წერს, თურმე ბუნებრივად ხუჭუჭა თმებისაგან ოსტატურად დახვეული კულულები შეადგენდა, ჩაიფიქრა ჩამოეგდო გრიგოლ ღმრთისმეტყველი იმ კათედრიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული და, როგორც ეს მახეთა გამოცდილ დამგებს შეეფერება, მიზნის მისაღწევად არა სხვების,

არამედ თავად წმიდა მამის გამოყენება მოინდომა. ცხოვრობდა რა მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ, ყალბი აღტაცებით, რომელსაც იგი წმიდა გრიგოლის მართლმადიდებლური სწავლების მიმართ გამოხატავდა, მისი იმდენად დიდი ნდობა მოიპოვა, რომ გრიგოლმა მას სახოტბო სიტყვაც კი მიუძღვნა. ბოლოს და ბოლოს მაქსიმმა თავისი ჩანაფიქრის დაფარვა ვეღარ შეძლო და მუცელი უცებ ცბიერი და ბოროტი სიძულვილით ასტკივდა, რის შედეგადაც ასპიტი დაბადა. და მაინც, როგორ მოახერხა მან მომხრეების შეძენა გრიგოლ ღმრთისმეტყველის საწინააღმდეგოდ? ამის კითხვის პასუხად წმიდა მამა ოქროს ყოვლისშემძლეობაზე მიგვანიშნებს: „ერთმა მონადიმეთაგან თქვა, რომ ყველაზე მეუფეს ღვინო, მეორე ამტკიცებდა, რომ – ქალები, ბრძენის აზრით კი – ჭეშმარიტება; ხოლო მე ოქროსაც დავამატებდი, რადგან ძალაუფლება მასაც ეკუთვნის. იგი ყოველივეს ადვილად ამოძრავებს“.

საეკლესიო და საერო წრიდან მოსყიდულმა მომხრეებმა მაქსიმს თმა შეუკვეცეს და მწყემსად გამოაცხადეს. თმის შეკვეცამ, როგორც წმიდა გრიგოლი წერს, მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ განადგურდა გულმოდგინე გარჯის ნაყოფი – კულულები და გამჟღავნდა თმის საიდუმლო, სახელდობრ, ისევე როგორც ბიბლიური სამსონისა, მთელი ძალაც მაქსიმისა თურმე მის თმებში იმალებოდა. ქალაქში უკვე დაუფარავად ალაპარაკდნენ მაქსიმსა და მის საქმეებზე, ისე რომ, ბოლოს თვალსაჩინოდ გამოიკვეთა წარმოსადეგი ფიგურა სრულყოფილი არამზადისა. როგორც მძიმე სენი ააშკარავებს იმ პატარ-პატარა სნეულებებს, რომელნიც ვიდრე ადამიანი ჯანმრთელი იყო, შეუმჩნეველი რჩებოდა, ასევე, ამ უკანასკნელი აღმაშფოთებელი საქციელის წყალობით, გამომზეურდა ყველა ადრინდელი ბოროტი საქმე მაქსიმისა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „განა გუშინ იგი შენი მეგობრების რიცხვში არ იყო? განა გუშინ არ თვლიდი მას ღირსად ყველაზე დიდი ქებისა? – შეიძლება მკითხოს ვინმემ. მართალიცაა, მე ვიყავი უვიცი, ღირსი საყვედურისა და მოტყუებული ვითარცა

ადამი, რომელიც მწარე ხის გარეგნულმა მშვენიერებამ შეაცდინა. მე მომატყუა რწმენის ნიღაბმა, რომელსაც მის სახეზე ვხედავდი და თვალთმაქცურმა სიტყვებმა. ვინც მორწმუნეა, სხვის ღმრთისმოსაობასაც ადვილად იჯერებს, თუნდაც იგი თვალთმაქცი იყოს“.

მაქსიმს მხარს ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი პეტრე უჭერდა მხარს, რომელსაც კონსტანტინეპოლის ეკლესიაზე თავისი ზეგავლენის გავრცელება დედაქალაქის საეპისკოპოსო ტახტზე მაქსიმის აყვანით სურდა. ისარგებლეს რა გრიგოლის ავადმყოფობით კონსტანტინეპოლში მყოფმა ეგვიპტელმა ეპისკოპოსებმა, მაქსიმის ხელთდასხმა ტაძარში ღამით მოინდომეს, მაგრამ, რადგან იქიდან სასულიერო დასის წევრებმა და ხალხმა გამოდევნეს, ხელთდასხმის წესი კერძო სახლში დაასრულეს. ამ გაუგონარმა ვერაგობამ წმ. მამას თავზარი დასცა. ამას ისიც დაემატა, რომ იესო ქრისტეს მტრებმა მაქსიმის ეპისკოპოსად კურთხევა მისი და მისი სწავლების დამარცხებად მიიჩნიეს და სიხარულს დაუფარავად გამოხატავდნენ, რამაც თმენის ღონე გამოულია და დედაქალაქის დატოვება გადააწყვეტინა.

მთელი ამ ხნის მანძილზე გრიგოლ ნაზიანზელი კონსტანტინეპოლში ერთი კეთილმორწმუნე ნათესავის სახლში ცხოვრობდა, სადაც მისი ქადაგების მოსასმენად თავს იყრიდნენ ჭეშმარიტ სწავლებას მოწყურებული ადამიანები. ასე რომ, ბოლოს ეს სახლი სამლოცველოდ იქცა და ნიშნად იმისა, რომ წმიდა მამის წარმოთქმული სიტყვების წყალობით, აქ აღდგა და გაცოცხლდა მართლმადიდებლური რწმენა, დევნილი და შევიწროვებული არიოზის ერესის მიერ მას ანასტასია უწოდეს. მან ვეღარ შეძლო დაეფარა თავისი მრევლის წინაშე მძიმე განწყობილება და გამოსამშვიდობებელი სიტყვა წამოსცდა, რამაც ხალხი მიახვედრა, რას აპირებდა მისი საყვარელი მოძღვარი: „დაიცავით სამების ერთიანობა ისე, როგორც ეს საყვარელ შვილებს ყველაზე გულუხვმა მამამ გადმოგცათ და გახსოვდეთ, საყვარელნო, ჩემი შრომაც“.

ანასტასიასკენ, რომელსაც წმიდა მამა ნოეს კიდობანს ადარებს,

რადგანაც „იგი ერთი გაექცა მსოფლიო წარღვნას და ახალი მართლმადიდებლური სამყაროს თესლი შეინარჩუნა“, ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, არ გაეშვათ მოძღვარი. ტაძარი გაიჭედა, სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა, ბავშვები ტიროდნენ, საღამოვდებოდა. ყველა იფიცებოდა, რომ ვიდრე წმიდა მამისაგან სასურველ სიტყვას არ მოისმენდა, უკან არ დაიხევდა, თუნდაც ეს ტაძარი მშვენიერ კუბოდ გადაქცეოდა. ვიღაცამ წმიდა გრიგოლს მიმართა: „შენ შენი წასვლით გაანადგურებ ჩვენში წმიდა სამებას“. მაშინ გრიგოლ ღმრთისმეტყველი იძულებული გახდა შეპირებოდა ხალხს, რომ ქალაქში დარჩებოდა მანამ, სანამ არ ჩამოვიდოდა რამდენიმე ეპისკოპოსი, რომელთაც ელოდებოდნენ.

ამგვარი სიყვარული ხალხისა წმიდა მამამ ჭეშმარიტი მოძღვრების გადმოცემის მშვიდი და ამაღლებული ფორმებით მოიპოვა. იგი ყოველგვარი მტრული განწყობილების გარეშე, სიყვარულითა და არა სხვათა მიმართ გამოხატული საყვედურით, ქადაგებდა მოძღვრებას წმიდა სამებაზე. ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩემს სიტყვებში მე ვიცავდი სიმშვიდესა და წესიერებას, როგორც დამცველი მშვიდი და თანამლმობელი სიტყვისა, რომელიც დარტყმას არავის აყენებს“. მას ჰქონდა ნათლად და მშვენივრად მოხაზული კანონი სწავლებისა, სახელდობრ: ღმრთისკენ მიმავალ ერთადერთ გზად არასოდეს უღიარებია ადვილად შესაძენი თვისება – ბოროტი ენამრავლობა; არ ლაპარაკობდა ამ თემაზე სანახაობებზე, ნადიმებსა და გასართობ ადგილებში; ამ საკითხებს არ ეხებოდა, აგრეთვე, თავხედური სიტყვებისაგან განუწმენდელი ენით და არც იმათთან საუბრობდა, რომელთა სმენაც წაბილწული და უცხო იყო ქრისტესათვის... არამედ ღმრთისმოსაობას იგი სიტყვაზე მეტად მცნებათა აღსრულებით, ღატაკთა დაპურებით, მოგზაურთა მიღებით, ავადმყოფთა მოვლით, ფსალმუნების გალობით, ლოცვით, სულთქმით, ცრემლებით, შიშველ მიწაზე ძილით, მუცლის მოთოკვით, გრძნობათა ჩაკვლით ამტკიცებდა, რაც საბოლოო ჯამში ხორცზე სულის

მეუფებას მოასწავებს.

მათ, ვისაც სურვილი გვაქვს ღმერთზე ვილაპარაკოთ, წმიდა მამა გვასწავლის: „ილაპარაკე, მაგრამ შიშით ილაპარაკე, თანაც არა ყოველთვის და არა ყველაფერზე, არა ყველასთან და არა ყოველ ადგილას. იცოდე, ვის, რამდენი, სად და როგორ ესაუბრო. ყველა საგანს თავისი დრო აქვს, ხოლო ერთი ბრძენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაზე უკეთესია ზომიერება“.

ამასობაში, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაკედონიიდან დედაქალაქში დაბრუნდა იმპერატორი თეოდოსი, რომელმაც იმპერიის ტახტზე გოთებთან ბრძოლაში სამარცხვინოდ დაღუპული ვალენტი შეცვალა (381 წ.). ხელმწიფემ მხარი წმიდა გრიგოლს დაუჭირა, შეხვედრისას მის მიმართ დიდი პატივისცემა და კეთილგანწყობა გამოამჟღავნა და საუბარი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ჩემი მეშვეობით, ღმერთი შენ ამ ტაძარს შენი ჯაფის საფასურად გაძლევს“. შეშინებული მაქსიმი კონსტანტინეპოლიდან გაიქცა. ასე რომ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად დადგენაში გადამწყვეტი როლი მართლმადიდებელი იმპერატორის მხარდაჭერამ შეასრულა. კეთილმორწმუნე თეოდოსი დიდის წყალობით, იმპერიის დედაქალაქში ბოლო მოეღო ერეტიკოსთა განუკითხავ ბატონობას, რომელიც, ტახტის მანამდელი მპყრობელების ხელშეწყობით, ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

დადგა დანიშნული დღეც წმიდა გრიგოლის ეპისკოპოსად ხელთდასხმისა. ტაძარი გარშემორტყმული იყო მეომრებით. ხალხი განუწყვეტლივ მოედინებოდა ტაძრისაკენ. ქუჩები და მოედნები მაყურებლებმა აავსეს. მართალია, დილა იყო, მაგრამ ქალაქზე თითქოს ისევ ღამე იწვა, რადგან მზის დისკოს სქელი ღრუბლები ფარავდა. ამგვარმა ამინდმა მტრების სიხარული გამოიწვია. მათი განმარტებით პირქუში დღე იმაზე მეტყველებდა, რომ, რაც ხდებოდა, ღმრთისთვის მიუღებელი იყო. მაგრამ როცა წმიდა გრიგოლი და იმპერატორი საკურთხეველში შევიდნენ და ტაძარი ღმრთის ერთობლივი ქების

ხმებმა აავსეს, უეცრად, უფლის ბრძანებით, ღრუბლები გაიპო და მზე გამობრწყინდა, მანამდე ჩამუქებული შენობა ელვისებურად გაბრწყინდა და ტაძარში ყველაფერმა ძველი სკინიის სახე მიიღო. ამ საოცარმა სანახაობამ გრიგოლ ღმრთისმეტყველს გამბედაობა და მხნეობა შეჰმატა, მის მომხრეებს ზეციური სიხარული აგრძნობინა, ხოლო მტრების უტიფრობა ძირშივე მოკვეთა.

გრიგოლ ნაზიანზელის კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ქალაქი თითქოს დაწყნარდა და იმ დამარცხებულ გოლიათს დაემსგავსა, რომელიც ყრუ ჩივილს გამოსცემს. მწვალებლებთან ურთიერთობის თაობაზე წმიდა მამა წერს: „თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამგვარ შემთხვევაში, მასწავლეთ თქვენ, ვინც ახლა მეუფებთ, თქვენ, კრებულმა ახალგაზრდებისა, რომელთა შორისაც სიმშვიდე სისუსტედაა მიჩნეული, ხოლო ავზნიანობა ვაჟკაცობად. მდგომარეობითა და ძალაუფლებით უნდა მესარგებლა და მძვინვარე მდევნელად გადავქცეულიყავი, თუ სამკურნალო საშუალებებით მემკურნალა? უკანასკნელი გზის არჩევა ორგვარ სარგებლობას მომცემდა, სახელდობრ, ჩემი ზომიერებით ისინიც ზომიერნი და მშვიდნი გამეხადა და ჩემი თავისთვისაც სახელი და კეთილგანწყობა მომეპოვებინა“.

იმის მაგალითად, თუ როგორ ინადირებდა იგი თვით მტრების გულსაც კი სიმშვიდითა და შენდობით, ასეთი შემთხვევა მოჰყავს: ერთხელ, როცა ავად იყო, მასთან უბრალო ხალხის წრიდან გამოსული რამდენიმე კაცი მივიდა, რომელთაც თან ერთი ახალგაზრდა ახლდათ, გაფითრებული, თმააწეწილი და ღარიბული სამოსით შემოსილი. როცა მოსულებმა თავიანთი სათქმელი თქვეს და წავიდნენ, ახალგაზრდა თავდაპირველად უტყვ და უძრავ მთხოვნელად დარჩა, ხოლო შემდეგ წმიდა მამას ფეხებში ჩაუვარდა და მის თანაგრძნობით აღსავსე კითხვას – რა იყო მიზეზი მისი გასაჭირისა, მხოლოდ ცრემლების ფრქვევითა და ხელების მტვრევით პასუხობდა. როცა მისმა უბედურებამ წმიდა გრიგოლიც აატირა, მაშინ ახალგაზრდა გაიყვანეს, ხოლო მას აუხსნეს, რომ ახალგაზრდა არიოზელებისაგან

მიგზავნილი მკვლელი იყო. წამებულმა სინდისმა მკვლელი გრიგოლ ღმრთისმეტყველთან მიიყვანა და საკუთარი თავის კეთილშობილმა ბრალმდებელმა წმ. მამის სისხლის ნაცვლად საკუთარი ცრემლები დაღვარა. გრიგოლმა საშინელი განზრახვა დიდსულოვნად შეუნდო.

381 წელს კონსტანტინეპოლში მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც ამავე წლის მაისში კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო ტახტზე წმ. გრიგოლი დაამტკიცა, ხოლო მაქსიმეს ქიროტონია უკანონოდ და არანამდვილად ცნო. მაგრამ კრების მიერ მისი ხელთდასხმის ცნობის შემდეგ იგი დედაქალაქის მთავარეპისკოპოსად მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა.

კრებას თავდაპირველად ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი მელეტი თავმჯდომარეობდა, ხოლო მელეტის გარდაცვალების შემდეგ – წმიდა გრიგოლი. ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის დაქვრივებულ ტახტზე ასაყვანად მან მხარი დაუჭირა პავლინეს, რომელსაც ჯერ კიდევ მელეტის სიცოცხლეში ანტიოქიის მწყემსმთავრად თვლიდა დასავლეთის ეკლესია. იმ განხეთქილების მოსასპობად, რომელიც ანტიოქიაში ორი მთავარეპისკოპოსის არსებობით იყო განპირობებული, წმიდა გრიგოლმა შეკრებილ მწყემსმთავრებს მოუწოდა, რომ რადგან მელეტი თავისი დღით, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ანტიოქიის მწყემსმთავრად პავლინე ეცნოთ; ეს იქნებოდა გონივრული გადაწყვეტილება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ერთობის აღსადგენად, რასაც სამწყსო ქრისტესი, ვინც ცოდვით დაშლილი კაცობრიობის გასამთლიანებლად, ჯვარზე ეწამა, განსაკუთრებით უნდა გაფრთხილებოდა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველმა სწორედ ეს შეახსენა კრებას, როცა მას პავლინეს მხარდაჭერისაკენ მოუწოდა: „...ხედავთ დიდ წრეს მიწისას – სფეროს, უფლის ძვირფასი სისხლის ნაკადებით აღბეჭდილს? ვინც ეწამა, ვითარცა კაცი და თავი თვისი მისცა ჩვენს გამოსასყიდად, ხედავთ დედამიწის სფეროს, განწმენდილს სხვა მრავალი მეორადი მსხვერპლითაც? ახლა იგი ორი ანგელოზის (ასე

ვუწოდებ) წყალობით ირყევა, მაგრამ არც ისინი (და ამას ვამბობ მწუხარებით) არ არიან ღირსნი ასეთი პატივისა, პირიქით, რამდენადაც ისინი ანგელოზები არიან, იმდენად უფრო არ იმსახურებენ იმას, რომ მათ გამო ვიჩხუბოთ და ცუდად მოვიქცეთ. სანამ ღმრთეებრივი ეპისკოპოსი (ე. ი. მელეტი) ცოცხალი იყო, უცნობი რჩებოდა, მიიღებდა თუ არა მას ოდესმე დასავლეთის ეპისკოპოსები, აქამდე მის საწინააღმდეგოდ განწყობილნი. ახლა, როცა უკვე ქარიშხალი ჩადგა და ღმერთმა თავის ეკლესიას სიმშვიდე მისცა, რა არის საჭირო? მიიღეთ ჩემი კეთილგონივრული წინადადება, რომელიც ახალგაზრდების სიბრძნეს აღემატება, რადგან ჩვენ, ბებრებს, ვერ დაგვარწმუნებს მათი მგზნებარება, რომელიც უპირატესობას ყოველთვის ამაო დიდების სურვილს ანიჭებს. დაე, ტახტი გადაეცეს იმას, ვისაც იგი აქამდე ეკუთვნოდა... დადგა გადამწყვეტი წუთი, ან მომავლისათვის უნდა შევინახოთ ჩვენი წმიდა დოგმატი, ან კიდევ იგი განხეთქილებისაგან უნდა დაეცეს... დაე, გაიმარჯვონ ჩვენზე მცირედში, რათა ჩვენ თვითონ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვოთ, გადავრჩეთ ღმრთისთვის და გადავარჩინოთ სამყარო, რომელსაც ჩვენს საზიანოდ ვღუპავთ. ყველა გამარჯვებას როდი მოაქვს დიდება. კეთილად მოკლება კი უკეთესია ცუდ შენაძენზე“.

სამწუხაროდ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის შთაგონებულმა სიტყვამ კრების მონაწილე აღმოსავლეთის ეპისკოპოსებზე შესაფერისი გავლენა ვერ მოახდინა, რადგან პავლინეს ანტიოქიის მთავარეპისკოპოსად ცნობა გარდაცვლილი მელეტის ხსოვნის შეურაცხყოფად და აღმოსავლეთის ეკლესიის დამცირებად მიიჩნიეს; ასე რომ, მათ ვერ შეძლეს, ეკლესიის ერთიანობაზე ზრუნვა ამაო პატივმოყვარეობაზე მაღლა დაეყენებინათ და მელეტის მემკვიდრედ ფლაბიანე დაადგინეს.

წმ. გრიგოლი განაწყენდა და რამდენიმე ხნის განმავლობაში კრების მსვლელობაში მონაწილეობას აღარ იღებდა. ამასობაში კონსტანტინეპოლში ეგვიპტელი ეპისკოპოსები ჩამოვიდნენ, რომელნიც მაქსიმის განსჯით უკმაყოფილონი იყვნენ. მათ კონსტანტინეპოლის

მთავარეპისკოპოსის ტახტზე გრიგოლ ღმრთისმეტყველის დამტკიცება ნიკეის კრების მიერ მიღებული კანონის, რომლის მიხედვითაც, ეპისკოპოსის ერთი კათედრიდან მეორეზე გადაყვანა იკრძალებოდა, დარღვევად მიიჩნიეს და მისი გადაყენება მოითხოვეს. როგორც კი ეს საკითხი წამოიჭრა, წმიდა გრიგოლმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „ქრისტეს ეკლესიის მწყემსნო! არ გმართებთ კამათი ჩემ გამო, რადგანაც უკეთესი როდი ვარ იონა წინასწარმეტყველზე; მე გადამაგდეთ ზღვაში, ოღონდ კი თქვენს შორის მშვიდობა სუფევდეს“.

წმიდა გრიგოლმა კრებასა და იმპერატორს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ტახტიდან წასვლის ნებართვა სთხოვა. არც კრების მონაწილე მამებსა და არც იმპერატორს მისი სურვილისათვის – გადამდგარიყო, წინააღმდეგობა არ გაუწევია. წმ. მამა თავის სამწყსოს გამოეთხოვა და კაპადოკიაში დაბრუნდა. პირველად იგი ნაზიანზში ჩავიდა იქაური ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად, შემდეგ კესარიაში, სადაც გარდაცვლილი მეგობრის, ბასილი დიდის საფლავზე მისი შესაქები სიტყვა წარმოთქვა, რომელიც არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ საერთოდ, ქრისტიანული რიტორიკის მშვენებას წარმოადგენს.

საბოლოოდ, გრიგოლი თავის მშობლიურ სოფელში, არიანზში, მამისეულ პატარა სახლში განმარტოვდა, რომელსაც გარს ხშირი და ჩრდილმრავალი ბაღი ერტყა. წმ. გრიგოლმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ამ წყნარსა და სოფლის ამაო ხმაურისაგან მოშორებულ სავანეში გაატარა და აქვე შექმნა თავის პოეტურ ქმნილებათა დიდი ნაწილი. იგი 389 წლის 25 იანვარს აღესრულა.

თავი II. გრიგოლ ღმრთისმეტყველის შემოქმედება

პ ო ე ზ ი ა

გრიგოლ ნაზიანზელი ქრისტიანული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც დიდი ღმრთისმეტყველი, ბრწყინვალე ორატორი და პოეტი. მის შემოქმედებას სამ ჯგუფად ჰყოფენ: სიტყვები, პოეზია და წერილები. ამჯერად წმინდა მამის შემოქმედებიდან შედარებით სრულად მისი პოეტური მემკვიდრეობის განხილვას შევეცდებით. რამდენადაც მის პიროვნებაში ღმრთისმეტყველმა აჯობა პოეტს, ამდენად საღმრთისმეტყველო თხზულებებთან შედარებით, ჩრდილში მოექცა პოეტური ქმნილებებიც. აქედან გამომდინარე, წმინდა გრიგოლის პოეზია მკვლევართა მიერ ნაკლებადაა შესწავლილი და, მაშასადამე, ნაკლებად ცნობილიც. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც პოეტური სიტყვა ქრისტიანული იდეებისა და იდეალების გადმოსაცემად და საქადაგებლად გამოიყენა. გრიგოლ ღმრთისმეტყველამდე ქრისტიან შემოქმედთა მოღვაწეობას პოეზიის ასპარეზზე მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. მხედველობაში გვაქვს მე-4 საუკუნის ავტორის, სვინესიოს კვირინელის ჰიმნები და მეთოდიოს პატარელის (III-IV სს.) ქრისტესადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომლითაც მისი ქალწულობის სახოტბო თხზულება „ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ“ მთავრდება.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში პოეტურ ქმნილებათა სიმწირის ძირითად მიზეზად მეცნიერებაში სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ის დევნა სახელდება, რომელსაც ქრისტეს მიმდევრები ამ პერიოდში განიცდიდნენ. ფიქრობენ, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ქრისტიანებმა განუწყვეტელი და დაუნდობელი დევნის გამო, თითქმის ვერ მოიცალეს პოეზიისთვის, რადგანაც პოეზია უპირატესად მოცალეობის ნაყოფია, ნაყოფია თავისუფალი და მშვიდი ცხოვრებისა, რომელიც, თავის მხრივ, კაცობრიობის იდეალური მხარეების განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ჟამი ქრისტიანებისათვის 313 წელს დადგა, როცა კონსტანტინე დიდმა

მილანის ედიქტით იესო ქრისტეს მიმდევრებს სხვა რელიგიათა აღმსარებლების თანაბარი უფლებები მიანიჭა.

რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევი საბუთია, მაგრამ არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ პოეტურ შთაგონებას არანაკლებ აძლიერებს ამქვეყნიური გასაჭირი და პიროვნული სევდა-მწუხარება. უფრო სავარაუდოა, რომ პირველი ქრისტიანები სულიერ მოთხოვნილებებს წმინდა წერილის ღმრთეებრივი სიბრძნის გაცნობით სრულიად იკმაყოფილებდნენ და არ ცდილობდნენ მასში გადმოცემული იდეალების საკუთარი განცდებით შევსება-შემკობას, მით უმეტეს, რომ პრაქტიკა პოეტური სიტყვის გამოყენებისა რელიგიური გრძნობების გადმოსაცემად კერპთმსახურებაშიც არსებობდა, ქრისტიანობა კი, განსაკუთრებით მისი არსებობის პირველ საუკუნეებში, წარმართული რელიგიიდან სრული გამიჯვნისაკენ ისწრაფოდა.

ადამიანში ღმრთის ხატის არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ შემოქმედმა შემოქმედების ნიჭი მას შესაქმეშივე უბოძა. მაშასადამე, ადამიანი ბუნებითაა შემოქმედი და, გამომდინარე იქიდან, რომ იგი თავის ბუნებას დიდხანს ვერ შეეწინააღმდეგება, ჭეშმარიტი ღმრთისათვის დიდების შეწირვის წრფელმა სურვილმა და სწრაფვამ გარემომცველი სამყაროსა და საკუთარი სულის სიღრმეთა შეცნობისაკენ, პოეტურად ქრისტიანებიც აამეტყველა.

ქრისტიანული პოეზიის წარმოშობას ხელი შეუწყო, აგრეთვე, იმ ფაქტმაც, რომ ერეტიკოსებმა, გაითვალისწინეს რა ადამიანთა სიყვარული ხელოვნების დარგებისადმი, თავიანთ ცრუ მოძღვრებათა გასავრცელებლად პოეზია გამოიყენეს (გავიხსენოთ არიოზი და მისი სიმღერები). ცნობილია, რომ ისინი თავიანთ პოეტურ ქმნილებებს მუსიკალურ მელოდიებსაც უწყობდნენ და საზოგადოებრივი ღმრთისმსახურების დროს მღეროდნენ, რათა ხალხს მათი მწვალებლური იდეები და შეხედულებანი ადვილად და სიამოვნებით შეეთვისებინა.

ანტიკურ ხანაში ჭეშმარიტი ღმრთის ძიების გზაზე ელინებმა ადამიანის სულიერი სამყარო იმდენი ასპექტით შეიცნეს და ისინი

ისეთი მრავალფეროვანი და სრულყოფილი ფორმებით გადმოსცეს, რომ საკუთარ რელიგიურ განცდათა გადმოსაცემად ახალი ფორმების ძიება ქრისტიან პოეტებს აღარ დასჭირვებიათ. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც უხვად და ნიჭიერად ისარგებლა მათით, გრიგოლ ღმრთისმეტყველი იყო. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეს მოძღვრებამ პირველსახის შესაცნობად ადამიანი ისე ღრმად ჩაახედა საკუთარ სულში და მის გრძნობებს იმდენი ელფერი შესძინა, რომ მათ გადმოსაცემად ქრისტიან პოეტს ყოველთვის არ აკმაყოფილებდა ანტიკური მუზის მიერ შექმნილი მზა პოეტური ფორმები. ამაზე მეტყველებს ის, რომ საერთოდ ქრისტიანულსა და კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებაში გვხვდება პოეტური ქმნილებანი, რომლებიც სინკრეტული ფორმის გამო ძნელია პოეზიის რომელიმე სახეს მიაკუთვნო. მაგალითად, გრიგოლ ღმრთისმეტყველის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებს, სივრცელის გამო პირობითად უწოდებენ ეპიკურს, მაშინ, როცა ისინი შინაარსით ლირიკის ჟანრს მიეკუთვნებიან. მკვლევარები მის პოეტურ მემკვიდრეობას შინაარსის მიხედვით ოთხ სახედ ყოფენ: 1. გნომური ანუ ეთიკურ-მორალური, 2. ისტორიული პოემები; 3. დიდაქტიკური პოემები; 4. მამხილებელი ხასიათის (სატირული) ლექსები.

ა) გნომური პოეზია

გნომებში (gnwmh, ლათ. **sententia**) სრულყოფილი აზრი, შეგონება, დარიგება გადმოცემულია, რაც შეიძლება, მოკლე ფორმით. ისინი სხარტად და მწვავედ გამოხატავენ ზნეობრივ-პრაქტიკულ შეგონებებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებათაგან მიღებულ დასკვნებს და ამდენად ანდაზებს ენათესავებიან; ოღონდ ანდაზებისაგან განსხვავებით, გნომებთან ერთად მათი ავტორების სახელებიც ცოცხლობს.

ბრძნული აზრებისა და დარიგებების გადმოსაცემად, განსაკუთრებით ძველ დროში, ყველა ხალხი გნომებს მიმართავდა, რადგანაც იგი შინაარსის სიცხადითაც და ფორმის ლაკონიურო-

ბითაც აღსაქმელად და დასამახსოვრებლად ყველაზე მარჯვე და მოსახერხებელი იყო. განსაკუთრებული პატივით გნომები მაინც აღმოსავლეთის ხალხებში სარგებლობდა და ყოველი მათგანის კულტურულ ცხოვრებაში დიდაქტიკურ პოეზიას უდებდა სათავეს.

ბერძნულ მწერლობაში გნომები უკვე ჰომეროსის პოემებში გვხვდება, მაგრამ უფრო ჩამოყალიბებული სახე მას ჰესიოდეს შემოქმედებაში აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოემა „სამუშაონი და დღენი“.

გნომური პოეზიის აყვავების ხანად მაინც ე. წ. შვიდი ბრძენისა და კანონმდებლების მოღვაწეობის ხანა ითვლება (40-57 ოლიმპ.). მათ მიაწერენ გნომებს ანუ აფორიზმებს, რომლებიც გადმოცემის თანახმად, ოქროს ასოებით იყო ამოკვეთილი დელფოში ტაძრის კარიბჭეზე: „ოქროს შუალედი“, „შეიცან თავი შენი“, „სათნოება ძნელია“, „ნუ უწოდებ ადამიანს ბედნიერს, ვიდრე არ მოკვდება“.

თავდაპირველად გნომების – ბრძნულ შეგონებათა ლექსად გადმოცემისათვის ყველაზე შესაფერისად დაქტილური ჰექსამეტრი ითვლებოდა. მაგრამ შემდეგში გნომური ლექსი ე. წ. გნომურ ელეგიად გარდაიქმნა, ანუ მივიღეთ ელეგიური დისტიქი (ორი სტრიქონი), რომელშიც პირველი სტრიქონი გამართული იყო დაქტილური ჰექსამეტრით, ხოლო მეორე – პენტამეტრით. ქრისტიანი ავტორებიდან კი, გნომები საკუთარი რელიგიური მრწამსისა და ზნეობის გამოსახატავად და გასავრცელებლად პირველად წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველმა გამოიყენა.

გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაში გნომურია 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე ლექსები. შინაარსით ისინი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც ადამიანის სულიერი სამყარო, რომელიც ძირითადად ღმერთთან, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში მჟღავნდება. გნომები მოძღვრავენ ქრისტიანს მისი, როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი ყოფის სწორად წარსამართად, ზნეობის დასახვეწად და სათნოებათა კიბეზე ყოველდღიურად ასამაღლებლად, რისი შედეგიც ღმერთთან მიახლოვება და საბოლოოდ

მარადიული ნეტარების მოპოვებაა. გნომები მოძღვრავენ ყველას, ვისაც კი ჭეშმარიტების გზით სიარული სურს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა თუ სოციალური მდგომარეობისა. „ყოველი გნომური გამონათქვამი ახალი შინაარსის ზნეობრივ სწავლებას შეიცავს, ახალ დამრიგებლობით წესს შეიცავს, ან კაცობრივი ცხოვრების გამოცდილებაში რომელიმე ახალ მოვლენაზე, ან მოვლენათა კომბინაციაზე დაკვირვების შედეგად, ზნეობრივ-პრაქტიკულ რჩევას იძლევა, რომელიც ახალი გასულიერებული პოეტური სახეებითა და მეტაფორული ფორმითაა წარმოდგენილი“.[5]

რამდენადაც მთელი კაცობრივი ყოფა ძირითადად სამი ასპექტით ამოიწურება: ადამიანის მიმართება ღმერთთან, სხვა ადამიანებსა და საკუთარ თავთან, – შინაარსის მიხედვით, გრიგოლ ნაზიანზელის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შეგონებებიც სამი სახისაა: გნომები, რომლებიც წარმოაჩენენ ადამიანის მოვალეობას ღმერთთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მიმართებაში.

გნომებს, რომლებიც გვმოძღვრავენ, როგორი უნდა იყოს ჩვენი მიმართება ღმერთთან, საფუძვლად უდევს ქრისტიანული რელიგიის „დიდი და პირველი“ მცნება: **შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა** (მთ. XXII, 37). თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ქრისტიანობის ამ ძირითად მცნებას წმიდა მამა ასე განმარტავს:

„უკეთუ ვინმე შეგვეკითხება, პატივს რას მივაგებთ
და რას ვეთაყვანებით, პასუხი გამზადებულია:
ჩვენ პატივს სიყვარულს მივაგებთ,
რადგან სულიწმიდას თქმით, ჩვენი ღმერთი სიყვარულია
და ეს სახელი ღმერთს ყველა სხვა სახელზე მეტად ესათნოება“.[6]

სწორედ ღმრთის მთელი არსებით შეყვარებისაკენ მოგვიწოდებს გრიგოლ ღმრთისმეტყველი გნომით, რომელშიც ვკითხულობთ:

---

[5] **А. Говоров, Св. Григорий Богослов как Христианский поэт, Казань, 1886, გვ. 40.**
[6] **XXIII სიტყვა PG, t. XXXVI.**

„დატოვე მთელი სამყარო, აქაური ტვირთი ყოველი
და იალქანი შენი ზეციური ცხოვრებისაკენ წარმართე“.[7]
„მინდა რომ მხოლოდ ღმერთით მდიდრდებოდე,
ხოლო მთელი სამყარო, ვით ქსელი ობობასი, მიგაჩნდეს“.
(XXXI, 27-28).

„უსაზღვროდ მოყვარული მხოლოდ ღმრთისა
და ღმრთეებრივისა იყავ.
იგი ყოველთვის ახლოა მასთან, რომელიც უხმობს.
მას თვითონ სწყურია მწყურვალნი მისი
და განუწყვეტლივ და უხვად იფრქვევა მათზე;
ხოლო უკეთუ ვინმე სხვა რამითაა შენზე მდიდარი,
გულგრილად დაითმინე“ (XXXIII, 145-148).

მაგრამ ღმრთის ჭეშმარიტად შეყვარება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ცოდვებს მოიძაგებს და მათგან განიწმინდება; თავის მხრივ, განწმენდა მცნებათა დაცვის შედეგია, ხოლო მცნებათა დაცვას წინ ღმრთის მოშიშება უძღვის. ჭეშმარიტად მორწმუნე მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც ამ გზას გაივლის და ღმრთის შიშიდან მის სიყვარულამდე ამაღლდება. სხვა შემთხვევაში რწმენას გარეგნული, ზედაპირული ხასიათი ექნება და ადამიანი მას პირველივე განსაცდელის ჟამს ადვილად დათმობს. ამიტომაც გვმოძღვრავს გრიგოლ ღმრთისმეტყველი:

„შეურაცხმყოფელია რწმენისა, თუკი იგი გულში არა გაქვს
და რომელიმე ფერით გარეთ გამოაფენ.
საღებავის ჩამორეცხვა ძნელი არაა,
მე კი ის მიყვარს, რამაც სიღრმეში შეაღწია“.
(XXXI, 39-40).

საზოგადოების უდიდეს ნაწილს, ჩვეულებრივ, სურვილი აქვს

[7] **PG, t. XXXVII, XXXI, სტ. 59-60.**

იმსჯელოს ღმერთზე და თავი მისი მოძღვრების მცოდნედ და დამცველად წარმოადგინოს, მაშინ, როცა ეკლესიის წევრობა და მისი კანონებით ცხოვრება (ძირითადად მარხვა და ლოცვა იგულისხმება) არ შეუძლია. სწორედ მათ მიმართავს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, როცა წერს:

„უმჯობესია გიყვარდეს ღმერთი,
ვიდრე იცავდე მოძღვრებას მასზე,
რადგან ყველა სიტყვა შეიძლება სადაო გახდეს,
ხოლო ცხოვრებას რით შეეკამათები?“[8] (XXXIII, 11-12).

გონების ვარჯიშს ღმრთის მისაწვდომად და ამ გზით ამაღლებას ღმრთის მცნებათა დაცვით ცხოვრება სჯობია, რადგან როგორც წმინდა მამა გვასწავლის:

„ცხოვრებას შეუძლია ღმერთს დაგამსგავსოს,
ხოლო გონებას – მიგიყვანოს უდიდეს დაცემამდე“.
(XXXIII, სტ. 90).

გნომებს, რომლებშიც გადმოცემულია სწავლება ქრისტიანის დამოკიდებულებაზე სხვა ადამიანებთან, საფუძვლად მოყვასის სიყვარულის შესახებ ასევე სახარებისეული მცნება უდევს: **შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი** (მთ. XXII, 39); **ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას** (ინ. XV, 17).

„ღმრთის წყალობა მოიპოვე
მახლობელთა ზედა გაღებული შენი წყალობით“.
(XXX, 209).

„სასიამოვნოა აღძრა შური შენ მიმართ,
მაგრამ დიდი სირცხვილია, შენ თავად გშურდეს“.
(იქვე, 22).

[8] А. Говоров, **დასახელებული წიგნი, გვ. 47.**

„რისი დათმენაც არ გინდა სხვისგან,
მის გაკეთებას სხვის მიმართ ნურც შენ ისურვებ“.
(XXXIII, სტ. 19-20).

„მახლობელთა საქმეებზე მეტად
საკუთარი თავი განიხილე (XXXIII, 53).

„შეაქე სხვა, მაგრამ მაღალი წარმოდგენა
ნუ გექნება საკუთარ თავზე, როცა გაქებენ,
რადგან საშიშია, არ აღმოჩნდე ქებაზე დაბლა.
სხვის შექებასაც ნუ იჩქარებ;
სჯობს იგი გამოცდილებით შეიცნო, რათა არ შერცხვე,
უკეთუ ცუდი გამოდგება“ (იქვე, სტ. 97-100).

„სჯობს შენი თავის ძაგება მოისმინო,
ვიდრე სხვა აძაგო.
უკეთუ ვინმე შენს გართობას მოისურვებს
და მოყვასს სასაცილოდ აიგდებს,
წარმოიდგინე, რომ დაცინვის ობიექტი შენ თავად ხარ.
და მაშინ მისი სიტყვები ყველაზე მეტად
გულს შენ გატკენენ“ (XXXIII, 101-104).

გონიერმა ადამიანმა წუთისოფელშივე უნდა იზრუნოს არა წუთისოფელივით წარმავალი, მატერიალური კეთილდღეობისა და დიდების მოხვეჭისათვის, არამედ, სათნოებათა დაუნჯებით, მარადიული ნეტარი ცხოვრების მოსაპოვებლად. მართალია, იმ ადამიანებთან ინტერესთა შეჯახებისას, რომელნიც არა ღმრთის, არამედ მიწიერი წარმავალი ცხოვრების კანონებით ცხოვრობენ, უმეტესწილად იგი დამარცხდება, მაგრამ სანაცვლოდ, სულის სასარგებლოდ, ზნეობრივ უპირატესობას შეინარჩუნებს და ამდენად საბოლოოდ გამარჯვებაც მას დარჩება – გვასწავლის წმინდა

გრიგოლი, როცა შეგვაგონებს:
„ნუ იზრუნებ, რათა ყოველსავე შინა
და ყოველთვის გაიმარჯვო.
უმჯობესია, სულის სასარგებლოდ
სხვას დაუთმო შენზე გამარჯვება,
ვიდრე გამარჯვებით თავად დაზიანდე“.

„მოჭიდავეთა შორის ყოველთვის როდი
ითვლება დამარცხებულად
ის, ვინც ქვეშ მოექცევა,
არამედ ხშირად ზემოდან მოქცეულიც“.
(XXXIII, სტ. 149-152).

„სათნოს რცხვენია დაცვა ბიწიერთა;
ეს თითქმის იგივეა, რომ ის თავადაც
ბიწიერების გზაზე დადგეს“ (XXXI, 49-50).

„ურთიერთობა ბიწიერებთან
შენც უცილობლად გაქცევს ბიწიერად.
ნურასოდეს მიიღებ წყალობას უკეთურისგან,
რადგან იგი მისთა საქმეთა გამო
შენგან შენდობის მიღებას ამ გზით ცდილობს“.
(XXXIII, 189-192).

„მართლისაგან მიღებული სასჯელი სჯობს,
ბიწიერისაგან მოგებულ პატივს“ (XXX, 17).

„ის მაღალ ღმერთსაც ადვილად უარყოფს,
ვინც მამას გადაუდგება.
მოძღვარსაც ღმრთისმოსაობით პატივი ეცი,
ვითარცა მამას“ (XXXI, 53-54).

„შვილი არასოდეს არ უნდა შეეკამათოს მამას,
– გვიბრძანებს სჯული, ხოლო სჯულზე ადრე – ბუნება“.
(XXXII, 17-18).

„ან საერთოდ ნუ ასწავლი,
ან კიდევ კეთილი ცხოვრებით ასწავლე.
სხვაგვარად ერთი ხელით რომ მოიზიდავ,
მეორეთი უკუაგდებ.
სიტყვები უფრო ცოტა დაგჭირდება,
თუ იმას აკეთებ, რაც უნდა აკეთო.
მხატვარი უმთავრესად თავისი სურათებით გვასწავლის“.
(XXXII, 71-72).

„რას ნიშნავს სიტყვები: ბატონი და მსახური?
რა ცუდი დაყოფაა. ყველას ერთი შემოქმედი ჰყავს,
ყველასთვის ერთი რჯულია, და ერთი სამსჯავრო.
გემსახურება რა, მსახურს,
ვითარცა თანამშრომელს, ისე შეხედე“.
(XXXIII, 133-136).

თვლის რა, რომ ადამიანი უკეთესს, ვიდრე მეგობარია, ამქვეყნად ვერაფერს შეიძენს, გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, განსხვავებით მტრობისაგან, მეგობრობამ საზღვრები არ იცის:

„ნურაფერს დაზოგავ ერთგული მეგობრისთვის,
ვინც თავი არა ფიალასთან, არამედ ცხოვრების
მძიმე წუთებში გაჩვენა;
ვინც მოსაგებად შენი გულისა არაფერს აკეთებს,
გარდა შენთვის სასარგებლოსი.
იცოდე საზღვრები მტრობისა,
მაგრამ არა კთილგანწყობისა“ (XXXIII, სტ. 177-180).

„თვალი სხვას ხედავს, თავისთავს – ვერა;
სხვასაც ვერ ხედავს, უკეთუ მხედველობა დიდად აკლია.
ამიტომაც საჭიროა ყველა საქმეში მრჩეველი გყავდეს.
ხელსაც ხელი სჭირდება, ხოლო ფეხს – ფეხი“.
(იქვე, 181-184).

მკვლევართა აზრით, გრიგოლ ღმრთისმეტყველის გნომური პოეზიის ყველაზე ვრცელ, მრავალფეროვანსა და საინტერესო ნაწილს მესამე ტიპის შეგონებანი წარმოადგენენ, რომელნიც ადამიანს საკუთარ თავთან სწორ მიმართებას ასწავლიან. აქ განირჩევა ზნეობრივი დარიგებანი სულთან, სხეულთან და მატერიალურ კეთილდღეობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის გნომები შინაარსობრივად ეყრდნობა და ვარიაციებს წარმოადგენს წმინდა მამის ბრძნული გამონათქვამისა, რომელსაც 31-ე ლექსში ვკითხულობთ და რომელიც, თავის მხრივ, თუმცა ანტიკურ ხანაში შექმნილი სენტენციისაგან – **შეიცან თავი შენი** – მომდინარეობს, მაგრამ ქრისტიანული შინაარსითაა გამდიდრებული:

„შეიცან თავი შენი, ქველო ჩემო,
თუ რისგან და რად ხარ შექმნილი,
და ამის წყალობით ადვილად მიაღწევ
სილამაზეს პირველსახისას“.

ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველად უცოდველად შექმნილმა ადამიანმა („რად ხარ შექმნილი“), რომლის ბუნებაც ცოდვის შედეგად ზნეობრივ-სულიერად დაზიანდა, არა მხოლოდ ის უნდა შეიცნოს, როგორია იგი და როგორი იყო, არამედ ისიც, როგორიც შეიძლება გახდეს და გახდება კიდეც, უკეთუ ამის ნება ექნება, მისი ღირსებისა და დანიშნულების მიხედვით, რისთვისაც მას ღმრთისაგან სულიერი და ფიზიკური ძალა ებოძა. აქედან გამომდინარე, სენტენცია ქრისტიანი პოეტისა შინაარსობრივად განუზომლად ბევრის მომცველი

და ღრმაა შედარებით ანტიკური ხანის გნომთან, ისევე როგორც თვითშემეცნება ქრისტიანისა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ანტიკური ეპოქის ადამიანისა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, საკუთარი სულის განწმენდასა და ამაღლებაზე ზრუნვა იმით უნდა დავიწყოთ, რომ თავისუფალი ნება, რომელიც შემოქმედმა გვიბოძა, კეთილი გზით წარვმართოთ ანუ ღმრთის ნებას დავუახლოვოთ და დავამთხვიოთ. სწორედ ნების ამგვარი სრულყოფა უდევს საფუძვლად სულიერ-ზნეობრივ ძალთა მწყობრსა და ჰარმონიულ განვითარებას, რომლითაც ადამიანი აღასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას: იყოს სრულყოფილი, **ვითარცა მამაჲ ჩუენი ზეცათაჲ სრულ არს** (მთ. V, 48). ასე რომ, ადამიანი ყოველი საკუთარი ქმედებისათვის თვითონაა პასუხისმგებელი, რადგან მათ იგი საკუთარი ნებით სჩადის:

„რისთვის ვდებთ ბრალს ყველა შემთხვევაში საბრალო მტერს,[9]
როცა მას ჩვენ ძალაუფლებას ჩვენზე
ჩვენივე ცხოვრებით ვაძლევთ?
ყველა, ან უმეტესი ნაწილის გამო მაინც, შენი საქციელისა,
საკუთარ თავს უსაყვედურე.
ცეცხლს ჩვენვე ვანთებთ,
ბოროტი სული კი მას მხოლოდ აბრიალებს“.
(XXXIII, 205-208).

„დიდი ცეცხლი პატარა ნაპერწკლიდანაც ინთება
და თესლი იქედნესი ხშირად ყოფილა დამღუპველი.
გახსოვდეს ეს და იმასაც განერიდე,
რასაც მცირე ზიანი მოაქვს; ახლა ზიანი დიდი არაა,
მაგრამ დროთა განმავლობაში დიდი გახდება“.
(იქვე, 49-52).

ამპარტავნობის საპირისპიროდ, რომელიც დედა და მშობელია

[9] **იგულისხმება ბოროტი სული, ეშმაკი.**

ყველა დანარჩენ ცოდვათა, თავმდაბლობისაგან სათნოებანი იშვებიან. იგი ერთდროულადაა ძირიც და მწვერვალიც თვით იმგვარი სათნოებებისაც კი, როგორიც სიწმინდე და სიმართლეა, თავმდაბლობა ყველაზე საიმედო საწინდარია მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისათვის. რაგინდ დიდ ღვაწლსაც არ უნდა ეწეოდეს ჭეშმარიტი მორწმუნე, ამისთვის არა საკუთარ თავს, არამედ ღმერთს ჰმადლობს და განადიდებს, ვინც მოღვაწეობის ძალა უბოძა; ამიტომ, ბუნებრივია, არც დაცემის შიში და მოლოდინი აქვს, რადგან თავს ყველაზე დაბლა გრძნობს:

„კეთილ ვიდრემე სიწმინდე და სიმართლე,
გარნა ამათდა ძირ და მწუერვალ სიმდაბლე.
შეუძლებელ არს დაცემად ქუემდებარე,
რამეთუ არა ესრეთ მდგომოობს, ვინათგან
სული მდაბალი აროდეს დაეცემის“.[10]

რაც შეეხება მრისხანებას, წმინდა მამა მის მოთოკვას გვირჩევს, რადგან იგი „არა თუ უსაფრთხო მრჩეველია, არამედ პირიქით: მრისხანებისას მიღებული გადაწყვეტილება არასოდესაა კეთილგონივრული“ (XXXII, სტ. 115-116).

„ზომიერება დაიცავი სიმამაცეშიც;
სხვაგვარად იგი თავხედობა იქნება და არა სიმამაცე“.
(XXXI, 43).

„თავი არც მეტისმეტად უნდა დავაიმედოთ
და სასო არც სრულიად უნდა წარვიკვეთოთ.
პირველი გვაუძლურებს, ხოლო მეორეს
ზნეობრივ სიმწირემდე მივყავართ“.
(XXXIII, 41-42).

[10] **თარგმანი ეფრემ მცირისა. მოტანილია წიგნიდან: თამარ კუკავა, ეფრემ მცირეს თარგმანები. თსუ გამომცემლობა. თბ., 1988, გვ. 83.**

ქრისტიანს „არც უმოწყალო სამართლიანობა ჰმართებს
და არც იმგვარი კეთილგონიერება,
რომელიც მრუდე გზებს ირჩევს.
ყველას ყოველივეს შინა ზომიერება სჯობს“.
(XXXI, სტ. 41-42).

„ჩემთვის ერთნაირად ცუდია უვარგისი ცხოვრება
და უვარგისი სიტყვა.
თუ ერთი გაქვს, მეორეც გექნება“ (XXXI, 13-14).

გრიგოლ ღმრთისმეტყველი მოგვიწოდებს, ცვილით დავიგმანოთ სასმენელნი ბილწი სიტყვებისათვის, რადგან „სიტყვას, მოსმენასა და საქმეს შორის მანძილი მცირეა“.

ბიწიერ მიდრეკილებებსა და ვნებებთან ბრძოლაში, რომელთა საფუძველიც ეგოიზმი და მგრძნობელობაა, წმინდა მამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გონების განვითარებასა და განათლებას:

„მცოდნე მესაჭე თავს დააღწევს საშიშ ტალღებს;
ასევე გონებანათელი ადამიანიც
ყოველგვარ უბედურებას გადაურჩება“.
(XXXII, სტ. 53-54).

ამ რიგის გნომებს ერთგვარად აჯამებს შემდეგი შეგონებანი წმინდა გრიგოლისა:

„სილამაზეს მშვენიერება სულისა ამჯობინე,
– არა ის, რისი დახატვაც ხელებს შეუძლია
და რასაც დრო-ჟამი გაანადგურებს,
არამედ ის, რაც უმანკო გონებით განიჭვრიტება“.
(XXXIII, 81-84).

„გჯეროდეს, რომ კეთილგონიერება
ბედნიერებაზე საიმედოა.

ერთი მოვლენათა სწრაფი დინებაა,
ხოლო მეორე – საჭე.
ნურაფერს ამჯობინებ განსწავლულობას;
მის შემძენელთა საკუთრებას მხოლოდ ის შეადგენს“.
(იქვე, 217-220).

შედარებით ნაკლებია რიცხვი გნომებისა, რომლებშიც გრიგოლ ნაზიანზელი რჩევა-დარიგებებს სხეულთან მიმართების თვალსაზრისით იძლევა. ამ დარიგებათა საფუძველია ქრისტიანული ანთროპოლოგია, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეულიც ღმრთის ქმნილებაა და იგი აუცილებელი ორგანოა სულისათვის. მაგრამ სრული ჰარმონიის მისაღწევად იმასთან, რასაც წმინდა მამა სულის წესიერებას, მართებულობას (eukosmia) უწოდებს, იგი არა მხოლოდ უნდა ემორჩილებოდეს მას. არამედ კარგადაც უნდა იყოს აგებული, ანუ შეძლებისდაგვარად, ნაკლოვანებათა და სნეულებათაგან თავისუფალი და ჯანმრთელი. მაშასადამე, სხეული უნდა იყოს მსახური კეთილი და მაღალზნეობრივი საქმეებისა, ხოლო იმისათვის, რომ ეს მსახურება შეძლოს, მზრუნველობისა და მოვლა-პატრონობის ობიექტიც.

„იმეუფე ხორცზე და, რაც შეიძლება,
უკეთესად დაიმორჩილე“ (XXX, 7).

ვინც გემოთმოყვარეობითა და ნაყროვანებით ცოდავს, მათ წმინდა მამა შეახსენებს:

„გონება მსუბუქია და დამძიმებულ მუცელს ვერ ითმენს,
ამიტომაც დაპირისპირებულთა შორის მუდმივი ბრძოლაა“.
(XXXII, 35-36).

„წყალი მშვენიერი სასმელია;
იგი არ არღვევს აზრთა სიცხადეს, ხოლო ღვინო,
თასით შესმული, გონებას ბინდავს“ (XXXII, 35-36).

„სნეულისათვის არანაირი ქონება
არაა უპირატესი ჯანმრთელობაზე
და ბუნებაც ბრძნულად იქცევა,
როცა მუდამ ჯანმრთელობა სურს“. (XXXII, 87-88).

ანგარებისმოყვარეობა და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი კაცობრიობის ისტორიაში მუდამ იყო ერთი ძირითადი მიზეზთაგანი ადამიანის ზნეობრივი დაცემისა და გახრწნისა. გრიგოლ ღმრთისმეტყველის გნომების ნაწილი ადამიანის სულის ამ მძიმე სენისაგან განკურნების მიზნითაა დაწერილი. ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში „ჩემს ცხოვრებაზე“ იგი შთამბეჭდავად წარმოადგენს ოქროს ძალას ადამიანის საზოგადოებრივ ყოფაში: „ერთი ნადიმზე ამბობდა, რომ ყოველივეზე მეუფებს ღვინო, მეორე ამტკიცებდა, რომ ყველაზე ქალები მეუფებენ, ხოლო ბრძენმა შენიშნა, რომ მეუფებს ჭეშმარიტება. მე კი მპყრობელურ ძალად ოქროს ვიტყოდი, რადგანაც იგი გარჯის გარეშე ამოქმედებს ჩვენს შორის ყველას“ (868-871).

ოქროს ამქვეყნიურ ძალმოსილებას წარმოაჩენს, აგრეთვე, გნომები:

„საჩუქარი ბრძენთაც კი აიძულებს
არ დანახვას იმისა, რაც დასანახია.
ოქრო იგივეა ადამიანებისათვის,
რაც მახე ფრინველთათვის“ (XXXII, 91-92).

„როცა ლაპარაკობს ოქრო,
მაშინ ყველა სხვა სიტყვა ამაოა;
მას შეუძლია დარწმუნება, მიუხედავად იმისა,
რომ ენა არა აქვს“ (იქვე, 143-144).

„სიმდიდრე ყველაზე დიდი დამქაშია ბოროტებისა,
რადგანაც ძლიერი ბოროტების ჩადენას ადვილად ახერხებს“.
(XXXII, 95-96).

სამაგიეროდ, გვასწავლის დიდი მამა, მისი ძალა ისევე ამაოა და წარმავალი, როგორც ამქვეყნიური ყოველი სხვა სიამე და ბედნიერება, საპირისპიროდ სახელისა, რომელიც, როგორც უხრწნელი სიმდიდრე, ადამიანს აქაც განამშვენებს და იქაც გაჰყვება.

„ჩრჩილი ყოველივეს ანადგურებს.
ნუ იზრუნებ სიმდიდრესა და საკუთარ დასაფლავებაზე.
ყველაზე დიდი პატივი დასაფლავებისას, კეთილი სახელია“.
(XXXI, 55-56).

„სჯობია ანგარიში საქმეებით აწარმოო
და არა ფულით;
უკანასკნელი წარმავალია,
ხოლო პირველი – მარადიული“ (XXXIII, 55-56).

„ვერანაირი სიმაძღრე ვერ იქნება უმწიკვლო,
რადგან დაწვა იმისა, რაც ნივთიერია,
ცეცხლის თვისებაა“ (იქვე, სტრ. 103-104).

გრიგოლ ღმრთისმეტყველის გნომური, შემგონებლურ-დამმოძღვრელი პოეზიის ნიმუშები, ე. წ. იამბიკოები,[11] ძველ ქართულ მწერლობაშივე უთარგმნიათ, კერძოდ, ისინი ერთად შეუკრებია და ქართულ ენაზე გადმოუღია ცნობილ მთარგმნელსა და მეცნიერ ფილოლოგს, ეფრემ მცირეს, სახელწოდებით „სწავლანი“.[12] აღსანიშნავია, რომ რამდენიმე იამბიკო: „საკუთარი თავის მიმართ“,

[11] იამბიკო ეწოდებოდა ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშს, რომლის ლექსთწყობაც ემყარებოდა სილაბურობას, ანუ სტრიქონებში მარცვალთა თანაბარ რაოდენობას. იამბიკოები იყოფოდა ცალკეულ სტროფებად, რომელთაგან ყოველი თორმეტმარცვლოვანი ხუთი სალექსო სტრიქონისაგან ანუ ტაეპისაგან შედგებოდა. ეფრემ მცირე ცდილობს დაიცვას პრინციპი თანაბარმარცვლოვანებისა, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს.

[12] S 3642 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა თ. კუკავამ თავის ნაშრომში „ეფრემ მცირეს იამბიკოები“. თბ., 1988.

„ქრისტეს მიმართ“ და „ლოცვა ქრისტესადმი“ მას გაუერთიანებია და შინაარსიდან გამომდინარე, ერთი საერთო სახელწოდება – „ბოროტისა მიმართ“ მიუცია.

ლექსში შთამბეჭდავადაა გადმოცემული ვერაგობა ბოროტი სულისა, რომელიც მუდმივად ცდილობს დაიპყროს ადამიანთა გულები, ლიქნითა და ამქვეყნიურ ტკბობათა დაპირებებით აცდუნოს ისინი და ღმერთს განაშოროს:

„ესე შენისა ზაკვისა, ჰოჲ ბოროტო,
მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა,
მარწმუნებ ტკბილთა გემოთა შეტკბობასა!
ვერ მარწმუნი შენ, ესე ადამ მარწმუნა.“

პოულობს რა, ღმრთის შემწეობით, თავისთავში ძალას ბოროტ სულთან შებრძოლებისა, მკაცრად მიმართავს, მიწად მიიქცეს, ხოლო უკეთუ ფეხზე კბენას მაინც შეძლებს, ძელზე დაკიდებით ემუქრება, რათა მისგან თავი დაიცვას, როგორც ეს მოსემ გააკეთა, როცა უდაბნოში სპილენძის გველი აღმართა, რომლის შეხედვაც ისრაელიანებს ქვეწარმავალთა დაგესლვისაგან იცავდა.

როგორც ეს თ. კუკავამ შენიშნა,[13] ამ იამბიკოს კითხვისას ქართველ მკითხველს აუცილებლად გაახსენდება ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“. ჯერ ერთი, ორივე ლექსი მიმართვის ფორმითაა დაწერილი, ავტორები უშუალოდ ბოროტ სულს მიმართავენ. ორივესთან ხაზგასმულადაა წარმოდგენილი სიცრუე და ამაოება ბოროტი სულის მიერ ადამიანთა საცდუნებლად გაცემულ დაპირებათა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რომანტიკოსმა პოეტმა სიყმაწვილეში მათი ნამდვილობა ირწმუნა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ, როცა დაპირებათა სიცრუეში დარწმუნდა, ერთგვარად გულგატეხილობა დაეუფლა, თუმცა არა საბოლოოდ. მიუხედავად სულის სიმშვიდის დაკარგვისა და იმედგაცრუებისა, ჭაბუკ პოეტს ეყო ძალა ბოროტ სულთან დაპირისპირებისა და მისი განდევნისათვის:

„განვედი ჩემგან. ჰოÁ მაცთურო, სულო ბოროტო!“

[13] იქვე, გვ. 21-25.

ანალოგიურად მიმართავს „კაცის მკვლელ“ ბოროტ სულს გრიგოლ ღმრთისმეტყველიც, ოღონდ იმ უპირატესობის შეგნებით, რომ სარწმუნოების ფარით მის ყოველ შემოტევას შედარებით ადვილად მოიგერიებს გადასაბირებლად და საცდუნებლად:

„წარვედ, წარვედ! ან ვაგრძენ მე ბრძოლა შენი,
დაღათუ გაქუნდეს სული მსგავსი ჩემი,
თუნდ გონება, ყოვლადვე ვერ მარწმუნო“.

აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირეს არა მხოლოდ უთარგმნია გრიგოლ ღმრთისმეტყველის იამბიკოები, არამედ თვითონაც შეუთხზავს იამბიკო მისთვის ხოტბის შესასხმელად.[14] ეფრემი უწოდებს მას „თავთა მოციქულთა მოსაყდრეს“, „მაცხოვრის მიერ დადგინებულ მწყემსს“, „სიტყვათა დედაქალაქს“, „მღდელ-ანგელოსს“; ადარებს იოვანე მახარებელს, ვინც საიდუმლო სერობისას მაცხოვარს მკერდზე მიეყრდნო; ადიდებს ვითარცა ჭეშმარიტების მქადაგებელს, ღმრთისმეტყველსა და დამცველს ქრისტეს მოძღვრების სიწმინდისა, ვითარცა შეურიგებელ მებრძოლს მაცხოვრის მტერთა წინააღმდეგ, რომელნიც სიტყვის ძალით ისე განდევნა ეკლესიიდან, როგორც იესომ შოლტით – უღირსნი ტაძრიდან:

„ეშმაკთ განჴდად და ოტებად მტერთა განჰჴვედ.
სცემ შოლტითა განმხსმელითა ტაძრით გამო“.

უწოდებს რა „კარით შესულ“ ანუ ჭეშმარიტ მწყემსს (**მე ვარ კარი ცხოვართაჲ. ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს.** – ამბობს მაცხოვარი. ინ. X, 5,9). ეფრემი ერთგვარი სიამაყით აღნიშნავს, რომ წმ. გრიგოლმა ამხილა და დაამარცხა „არა კარით შესულთა მწყობრი“, ანუ ცხვრის ტყავში გახვეული ეკლესიის ცრუ მსახურთა სიმრავლე.

ბ) ისტორიული პოემები

გრიგოლ ღმრთისმტყველის პოეტურ მემკვირდეობაში ისტორიულ პოემებს უწოდებენ ნაწარმოებებს, რომლებშიც ისტორიული

[14] ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ქრესტომათია I, თბ., 1954, გვ. 363-64.

მოვლენები და ფაქტები ვრცელი ლექსების სახითაა გადმოცემული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემები მათ პირობითად, სივრცელის გამო ეწოდათ, თორემ იქიდან გამომდინარე, რომ ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას ავტორის პიროვნული განცდები სჭარბობს, უფრო ლირიკული პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებენ და ხან ელეგიების ასოციაციას აღძრავენ და ხან – სატირებისას.

ამ რიგის თხზულებებიდან უწინარესად უნდა დავასახელოთ ავტობიოგრაფიული ხასიათის პოეტური ქმნილებანი: „ჩემი ცხოვრების შესახებ“, „საკუთარ თავსა და ეპისკოპოსებზე“, „ჩემ შესახებ“, ამათგან მოცულობითაც ყველაზე ვრცელი და შინაარსობრივადაც ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანია „ჩემი ცხოვრების შესახებ“. მასში გრიგოლ ღმრთისმეტყველი საკუთარ თავგადასავალს მის თანამედროვე საზოგადოებრივ ყოფასთან მჭიდრო კავშირში მოგვითხრობს და ამდენად თავის თავზე ჰაგიოგრაფიულ თხზულებას თვითონვე ქმნის. ამასთან, რადგანაც იგი საკუთარი ცხოვრების არა მხოლოდ გარეგნულ ფაქტებს, არამედ დაფარულ გულისმიერ ზრახვებსა და სულიერ განცდებსაც საოცარი სიწრფელით, შეულამაზებლად გადმოსცემს, თხზულება ერთგვარად აღსარებასაც წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ მწერლობაში ამ სახის თხზულებებს სათავე სწორედ გრიგოლ ღმრთისმეტყველმა დაუდო და, რომ ნეტარ ავგუსტინეს თავისი სახელგანთქმული „აღსარებანის“ შექმნა სწორედ მისმა ზემოხსენებულმა ავტობიოგრაფიული ხასიათის პოემის გაცნობამ შთააგონა. ეს ნაწარმოები გახდა, აგრეთვე, საფუძველი არა მხოლოდ წმინდა მამაზე შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა, რომელიც მის თანამოსახელე ხუცესს ეკუთვნის, არამედ ყველა გამოკვლევისაც, რომელიც მისი ცხოვრების შესახებ დაიწერა.

ნაწარმოების „ჩემი ცხოვრების შესახებ“ შექმნის მიზეზსა და მიზანს, თავად ავტორი, როგორც ეს თავიდანვე აღვნიშნეთ, შესავალშივე განსაზღვრავს. ამ განსაღვრებაშიც ჩანს და შინაარსიც გვიდასტურებს, რომ ეს ვრცელი პოეტური ქმნილება აპოლოგიას წარმოადგენს, რომელშიც ავტორი სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან ერთად, თანამედროვე თუ მომავალი ცილისმწამებლებისაგან საკუთარი თავის დაცვასაც ცდილობს.

თხზულება შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს; 1. საკუთარი ცხოვრების აღწერა კონსტანტინეპოლში გამგზავრებამდე და 2. კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ. პირველი ნაწილი, რომელშიც პოეტი მშობლების, მათ გვერდით გატარებული ბედნიერი ყრმობისა და ათენის წარმართულ აკადემიაში განსწავლის წლებზე მოგვითხრობს, ბევრად უფრო ხალისიანი განწყობილებით და, შესაბამისად, ნათელი პოეტური სახეებითა გადმოცემული, ვიდრე მეორე ნაწილი, რომელშიც ძირითადად ის ტანჯვაა ასახული, რასაც პოეტის ფაქიზ სულს, როგორც საერო, ისე სასულიერო წრის (და ეს მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო) წარმომადგენელთა მხრიდან უსამართლო ბრალდებანი და ცილისწამებანი განაცდევინებდა.

რით იწვევდა განმარტოებული ცხოვრების მოყვარული ბერი, რომლის ყველაზე საყვარელ საქმიანობას ღმრთის მჭვრეტელობითი გზით წვდომა და სარწმუნოებრივ დოგმატთა განსაზღვრება-განმარტება წარმოადგენდა, ასე დაუძინებელ მტრობას მის მიმართ? თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სასულიერო ასპარეზზე აქტიურ მოღვაწეობას იგი ხომ დაახლოებით ერთი წელი ეწეოდა? იმ დიდი ტალანტით, რომელიც ღმერთმა მას მისი მოძღვრების წვდომისათვის უბოძა და იმ წრფელი სიყვარულითა და ერთგულებით, რომელიც ღმერთთან დამოკიდებულებაში გამოარჩევდა. გავიხსენოთ, როგორ ითხოვს იგი, არ წაიკითხონ მისი ავტობიოგრაფიული თხზულებები მათ, რომელთაც შემოქმედის მიმართ მსგავსი სიყვარული და ერთგულება არ უგრძვნიათ.

ავტობიოგრაფიულ (ისტორიულ) პოემათა შინაარსი ნაწილობრივ უკვე გადმოვეცით გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას. ამჯერად ყურადღებას რამდენიმე საინ-

ტერესო ფაქტსა თუ მოვლენასა და პოემების მხატვრულ მხარეზე გავამახვილებთ.

იქიდან გამომდინარე, რომ უკიდურესად გულწრფელია როგორც საკუთარი განცდების გადმოცემისას, ასევე საკუთარ საქციელთა შეფასებისასაც, გრიგოლ ღმრთისმეტყველი თავის თავს უფლებას აძლევს მკაცრად ამხილოს სასულიერო წოდება, რომელსაც თვითონაც ეკუთვნის; „ეს ჩვენ ვართ, ვინც კეთილად როდი ვსხედვართ მაღალ ტახტებზე, ჩვენ – წინამძღოლნი ხალხისა, მასწავლებელნი მშვენიერებისა; ჩვენ, რომელთა ხვედრია ვასაზრდოოთ სულნი ღმრთეებრივი საზრდელით, თუმცა შიმშილს თავად განვიცდით; ჩვენ – მკურნალნი უძლურთა, მაგრამ იმავდროულად მკვდარნიც, რომელნიც ახალ-ახალი სენით ვსნეულდებით; ჩვენ, მეგზურნი ციცაბო ბილიკებისა, თუმცა ჯერ არათუ არავინ აგვიყვანია, ჩვენ თავადაც არ გვივლია მათზე“ („ჩემი ცხოვრების შესახებ“).

როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, გრიგოლ ღმრთისმეტყველს სასიმას ეპისკოპოსის მოვალეობა არც ერთი დღით არ შეუსრულებია. სასიმა, როგორც თვითონვე ამბობს, მისთვის იყო ადგილი, სადაც უნდა „შეეკრიბა ეკლები და არა ვარდები ეკლებიდან“. ამიტომ ამაო გამოდგა მამის, უფროსი გრიგოლის მცდელობა, დაეყოლიებინა შვილი სასიმაში დამკვიდრებაზე. მაშინ მან ახალი ვედრებით მიმართა შვილს – მასთან ერთად ეზიდა ტვირთი ნაზიანზის მწყემსმთავრისა: „შენ, უსაყვარლესო შვილო, გევედრება მამა, ახალგაზრდას – მოხუცი, მსახურს ის, ვინც ორმაგად – ბუნებითაც და კანონითაც – შენი მეუფეა, არცა ოქროსა და არცა ვერცხლს, არც ძვირფას ქვებსა და არც დამუშავებულ მიწის ნაკვეთებს არ ვითხოვ შენგან, ნაშობო ჩემო. შენ, შვილო, მას ეკუთვნი, ვინც შენი თავი გვაჩუქა. არ შეურაცხმყო, რათა ჩვენი საერთო მამა შენ მიმართაც მოწყალე იყოს. მშვენიერია ჩემი თხოვნა, ყოველ შემთხვევაში იგი მამისაა. შენ იმდენ ხანს არ გიცხოვრია ქვეყანაზე, რამდენ ხანსაც მე მსხვერპლი მიმაქვს ღმრთისათვის. გამიწიე ეს სამსახური: ის მცირერიცხოვანი დღეები მაჩუქე, რაც სიცოცხლისათვის დამრჩენია, ხოლო შემდგომი ცხოვრება ისე

მოაწყვე, როგორც ეს თავად შენ გწადია“. რაც მოჰყვა შედეგად მამის ამ გულისშემძვრელ მხურვალე ვედრებას, ჩვენ უკვე ვიცით: მისი გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლმა მხოლოდ ცოტა ხნით იდო თავს ზრუნვა ნაზიანზის სამწყსოზე.

კონსტანტინეპოლში ჩასულ გრიგოლ ღმრთისმეტყველს სარწმუნოების თვალსაზრისით სრული ქაოსი დახვდა. არიოზის ერესის მძლავრობის პირობებში დაუბრკოლებლად ხარობდა და ჰყვაოდა მრავალი მცდარი რელიგიური სწავლება, შეუდარებლად გაიზარდა გზების რიცხვი, რომელთაც, განსხვავებით ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზისა, ადამიანები დასაღუპად და წარსაწყმედად უფსკრულისაკენ მიჰყავდა. თუ ძველად ღმერთმა ისინი ენების მიხედვით დაყო, ეშმაკი, სამწუხაროდ, აზრებით ყოფს, რაც ხდება მიზეზი არაჯანსაღ სწავლებათა წარმოშობისა. მათ შორის იხსენიებს გრიგოლი როგორც კერპთაყვანისმცემლობას, ვარსკვლავთმრიცხველობას, იუდაიზმსა და გნოსტიციზმს, ასევე თვით ქრისტიანობის შიგნით გაჩენილ ერეტიკულ მიმდინარეობებსაც, რომელთაც უმთავრესად სამების პირების – ძისა და სულიწმინდის წინააღმდეგ ბრძოლა ახასიათებდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სწავლების დასაცავად, ამგვარ პირობებში უხდებოდა ქადაგება, როგორც თვითონ ამბობს, წარმატებას მაინც მიაღწია, რადგან თითქმის ყველა აიძულა, მისთვის მოესმინათ: „და ვინ იყო მათგან ისეთი, ყური რომ არ მოეპყრო ჩემი სიტყვებისათვის? ერთს ატყვევებდა სწავლების ძალა, სხვებს სიმშვიდეს ჰგვრიდა გამოთქმის ფორმები გარეშე მტრობისა, რადგანაც სიტყვას არა იმდენად საყვედურით, რამდენადაც გულითადი სიყვარულით წარმოვთქვამდი. მსმენელებს ბადით ვინადირებდი და არა ვგმირავდი, და არ ავმაღლებულვარ, სხვათა მსგავსად, სწრაფწარმავალი და ცვალებადი დროებით... ჩემს სიტყვებში მე ვიცავდი სიმშვიდეს, ვითარცა დამცველი **სიტყვისა** მშვიდისა, თანამლმობელისა, ვინც დარტყმას არავის აყენებს“.[15]

[15] **იგულისხმება სიტყვა ღმერთი, იესო ქრისტე.**

ქრისტიანულ მჭევრმეტყველებას ჩვეულებრივი რიტორიკისაგან იგი ერთი ძირითადი თვისებით ასხვავებს: თუ სიტყვები გარეშე სწავლებათა შესახებ საჩვენებლად, ან ახალგაზრდების შეკრებებზე მათთვის სანიმუშოდ წარმოითქმება, ქრისტიან ორატორს ერთი მიზანი აქვს – სიმართლის თქმა. ამიტომაც სჭირდება მას განსაკუთრებული სიფრთხილე სიტყვის წარმოთქმისას, რათა ჭკვიანურად ილაპარაკოს და გონივრულად ისმინოს. გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვირჩევს ორივე შემთხვევაში ერთი მართალი საზომით ვისარგებლოთ, ესაა **შიში.** სმენა უფრო ნაკლებად გვაგდებს საფრთხეში, ვიდრე ენა, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლები იქნება საფრთხე, თუ სმენითაც ნაკლებს მიიღებ; „რატომ უნდა შეეხო სიბილწეს და მოკლა გონება შენი? რატომ უნდა მიუახლოვდე ცოფიანი ძაღლის სუნთქვას?“ – კითხულობს იგი.

როგორც თვითონვე გვეუბნება, სიტყვასა და მის წარმოთქმასთან დამოკიდებულება მან წმინდა წერილიდან ისწავლა. ამიტომაც ახდენდა ზემოქმედებას მსმენელებზე და მისივე სიტყვებით რომ თქვათ, ერთ-ერთი მდიდარი მიწათმოქმედიც შეიქნა: „ჩემი ყანა ჯერ კიდევ არ იყო მზად მოსამკელად; ნაწილი უკვე წმინდა ხორბლად იქცა, ნაწილი პურადაც გამოცხვა, რომელიც საბოლოო შედეგია მიწათმოქმედებისა. მაგრამ ამ პურით ახლა ისინი იკვებებოდნენ, რომელთაც წვეთი ოფლიც კი არ ჰქონდათ დაღვრილი მისი მოყვანისათვის“.

კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრების შესახებ საუბრისას, გრიგოლი იხსენებს ანტიოქიის მთავარეპისკოპოს მელეტის და დაუვიწყარ პორტრეტს გვიხატავს სულიერი მოღვაწისას, რომელშიც გარეგნობა და სულიერი სამყარო ერთმანეთს სრულად შეესაბამება და ერთმანეთზე მეტყველებს. ზნეობით მარტივი, ღმერთშემოსილი მამის „ნათელი მზერა“ პატივისცემას აღძრავდა, თავხედობას თოკავდა და მის პიროვნებაში „სულიწმიდის მიერ დამუშავებულ ყანას“ წარმოაჩენდა. ანტიოქიის პატრიარქი მართლაც ისეთი იყო, როგორიც სახელი ჰქონდა (Melito~ ქართულად თაფლისას ნიშნავს), რადგან თვისებებითაც თაფლს ესგავსებოდა .

ბრძნულადაცაა გააზრებული და იმავდროულად მოხდენილად ნათქვამიც მიზეზი, რომელმაც გრიგოლ ღმრთისმეტყველს არა მხოლოდ კრების, არამედ კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრის დატოვებაც გადააწყვეტინა. მან შეკრებილთ მიმართა: „ნება მომეცით ხელი ავიღო ტახტზე და განმარტოებით ვიცხოვრო, რადგან ეს ბევრად უკეთესია იმაზე, – იცხოვრო ახლობლებთან, მაგრამ არ გქონდეს ძალა მათი მიმხრობისა და არც შენ შეგეძლოს დაეთანხმო მათ საკუთარი გონების საწინააღმდეგოდ“.

საეკლესიო კრების მონაწილეთათვის სრულიად შუფერებელი მღელვარებითა და შფოთვით შეძრწუნებული გრიგოლი დაუფარავად ამბობს, რომ „ამგვარ ადამიანებთან არ მოისურვებდა თათბირს არავინ, ვისაც ღმრთის შიში და ეპისკოპოსის ტახტის პატივისცემა ჰქონდა“. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ახალგაზრდები, რომელთა შესახებაც წერს: „ისინი ჰგვანდნენ კრაზანებს, რომელნიც ხან აქეთ აწყდებიან და ხან – იქით, და ბოლოს სახეში ეცემიან ვინმეს“.

გ) მარხვის დროს დუმილზე

ლექსი, როგორც ეს სათაურშივე ჩანს, შეგვაგონებს, რომ ჭეშმარიტად იცავს მარხვას ის, ვინც არა მხოლოდ ცხოველური საზრდელის მიღებას უკრძალავს თავს, არამედ ენითაც მარხულობს, ანუ მარხვისას განსაკუთრებით ერიდება მოყვასის ლანძღვა-გინებასა და უშვერი სიტყვების წარმოთქმას. – ენა ერთი უმცირესთაგანია ადამიანის აგებულების შემადგენელ ნაწილთაგან, მაგრამ ძალით ყველა დანარჩენს აღემატება.

ენა ყველაზე დიდი მტერია ადამიანებისა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მას უწოდებს ცხენს, „რომელიც ყოველთვის წინ გარბის“. ისაა ყველაზე მზა იარაღი. ყველა ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელება – იქნება ეს მკვლელობა, მრუშობა ქურდობა თუ ოქროსმოყვარეობა, ადამიანისაგან ჯაფასა და დაბრკოლებათა გადალახვას მოითხოვს. ჯაფისა და წინააღმდეგობათა გადალახვის გარეშე ცოდვის ჩადენა მხოლოდ ენას შეუძლია. ენით ჩადენილი ცოდვა პოეტის მიერ მხატვრულად ასეა წარმოდგენილი: „მსროლელი უკვე ახლოსაა,

უწყალო ისარი უკვე მშვილდშია, ხოლო მშვილდი მოზიდულია გასასროლად. გაუშვებს თუ არა აზრი ისარს, იგი გაფრინდება და ყოველივეს ამხობს: მიწიერსა და ზეციერს, ცოცხლებსა და ჯერ კიდევ დაუბადებლებს, ფრთხილებსა და გაუფრთხილებლებს, მტრებსა და მეგობრებს, შორეულებსა და ახლობლებს; მისი სამიზნეა ყველა". მეტაფორაში მსროლელი ადამიანია, რომელიც ენით ცოდავს; ისარი სიტყვაა, ხოლო მშვილდი – ენა.

შეუძლებელია იმ წყენათა ჩამოთვლა, რომელთაც ენა გვაყენებს; თუ მოინდომებს, მას ადვილად შეუძლია სახლი – სახლს, ქალაქი – ქალაქს, ხალხი – ხელისუფლებას, ხელისუფლება ქვეშევრდომებს გადაამტეროს. იგი მტრობას ისე წამიერად ააგიზგიზებს, ვითარცა ნაპერწკალი ჩალას.

როგორც წმ. გრიგოლი ამბობს, ენით უმღერის იგი ზეცათა მეუფეს, დიდ ღმერთს, სამების შეუქმნელი ნათლის ბრწყინვას, სამყაროს სიმწყობრეს, ქრისტეს ტანჯვათა უხრწნელ დიდებას, რომლითაც ადამიანი განაღმრთო, შეუერთა რა კაცობრივი ბუნება (ხატი) ზეციურისას. მაგრამ ენას საპირისპიროც შეუძლია. ამიტომ იგი ენასთან მიმართებაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს მღვდელთმსახურთ ურჩევს, რადგან წმინდა მსხვერპლის შემწირველებმა ენაც წმინდად უნდა შეინახონ. მაგრამ განწმენდილი ენისათვის განწმენდილი გონებაა საჭირო. ამიტომაც ნატრობს ძალას, შერყვნილი და მერყევი გონების, რომელიც ამაო სწრაფვათა შორის აქეთ-იქეთ ირყევა, მიზანთან, უკეთესად რომ ვთქვათ, ქრისტესთან, თუნდაც ჯაჭვის ყულფით მისაყვანად, რათა იგი მისი ნათლის სხივებმა განაბრწყინოს.

თუმცა პოეტმა საკუთარი გონება, ბოროტებისაგან, რაც შეიძლება, მეტად დასაყენებლად, შიგნით გამოკეტა, მაგრამ მან მაინც შეძლო ხეტიალი დაეწყო ღმრთისაგან შორს. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მშვენიერ პოეტურ სახეს ქმნის, როცა საკუთარი გონების ამგვარ მდგომარეობას ქვებით მტკიცედ შემოზღუდულ ცეცხლს ან ნიაღვარს ადარებს. მართალია, ისინი ზღუდის შიგნით მძვინვარებენ, მაგრამ სამაგიეროდ მის გარეთ ვერც ბუჩქნარსა და ვერც

ყანას ზიანს ვერ აყენებენ და ვერ ანადგურებენ. ხოლო თუკი სიტყვა მრავალმჟღერ ენას მოსწყდა, იგი მაშინვე თავშეუკავებლად ბობოქრობს და უკან დახევა არ იცის.

უკეთუ მოღუნულ რტოს საწინააღმდეგო მიმართულებით ნელნელა გადავღუნავთ, ხელს რომ გავუშვებთ, იგი უკვე სწორი იქნება. მსგავსად ამისა, შეამჩნია რა, რომ გაქცეულმა სიტყვამ აღარც წონა იცის და აღარც ზომა, წმ. გრიგოლმა სიტყვა სრულიად მოთოკა, რათა ენას ესწავლა, რა უნდა ეთქვა და რა – არა, რაც მკურნალობის საუკეთესო ხერხი გამოდგა, რადგან ენა, რომელიც მდუმარებას შეითვისებს, კეთილად მეტყველებასაც ითვისებს. ისიც დიდი შენაძენია, თუ შეგიძლია დაიჭირო სიტყვა, რომელიც მზადაა თავს დაატყდეს მას, ვინც შენს გულს გარედან დარტყმებით ტკივილს აყენებს. მოათვინიერებ რა სიტყვას, რისხვით გამოწვეულ მღელვარებასაც ჩააწყნარებ და მისგან გამოწვეული ტანჯვისგანაც მოისვენებ. მაგრამ ყოველივე ამის მისაღწევად დიდი მეუფის – ქრისტეს წინამძღოლობაა საჭირო. თუკი მესაჭედ ქრისტე არ გეყოლება, არა თუ დუმილის, უფრო დიდი ღვაწლის დათმენაც უსარგებლო იქნება.

წმ. გრიგოლის რწმენით, მისმა მოუთვინიერებელმა, მაგრამ კეთილად მეტყველმა ენამ აქცია იგი შურიანთა თავდასხმის ობიექტად. ამიტომაც მოუწოდებს ენას დუმილისაკენ, თუმცა, რა თქმა უნდა, არა დიდი ხნით. მიუხედავად გამძაფრებული (ლოგოსის, ქრისტეს) მტრობისა, წმ. გრიგოლი არ აპირებს სამუდამოდ შეიკრას ენა და ამით **სიტყვის** მოძულეთ დიდი სიხარული მიანიჭოს. იგი ღმერთს ევედრება იხსნას სასტიკ ენათაგან და თავის ნათელში შეიყვანოს, სადაც ბაგეებით ღმრთის სადიდებელი მწყობრი სიმღერის წარმოთქმა შეეძლება. „მიიღე ეს უხმო უწყება ჩემი ხელისაგან, რათა იქნე მაუწყებელი ძეგლი ჩემი დუმილისა", – მიმართავს იგი წრფელი ვედრებით ყოველთა შემოქმედს.

თხზულების „მარხვის დროს დუმილზე" ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ლექსი „დუმილის შემდეგ სააღდგომო სიმღერა ქრისტეს მიმართ". საინტერესოა, რომ ენით მარხვას აღდგომისას იგი ქრისტეს

სახელის წარმოთქმით იხსნილებდა: „მეუფევ ჩემო, ქრისტე, რამდენადაც დიდი ხნით შეკავებულ სიტყვას ისევ ჰაერს ვაძლევ, ბაგენი ჩემნი პირველად შენ წარმოგთქვამენ. წინაშე შენსა ჩემი გონებიდან გადმოვღვრი ამ სიტყვას – უბინო ძღვენს უწმინდესი მსხვერპლისა“. – ასე მიმართავს ის სიტყვა ღმერთს. საერთოდ, მთელი თხზულება იესო ქრისტეს და მისი აღდგომის სადიდებელს წარმოადგენს.

გრიგოლ ღმრთისმეტყველმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ბიზანტიური ქრისტიანული მწერლობის მიერ სრულყოფილად ათვისებაში იმ მიღწევებისა, რომელიც ანტიკურ მწერლობას გამოარჩევდა მხატვრული სიტყვის ძალითა და სილამაზით.

დ) საღმრთისმეტყველო სიტყვები

გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების მკვლევართა აღიარებით, როგორც ღმრთისმეტყველი, გრიგოლი გამოირჩეოდა ღმრთეებრივ საიდუმლოთა ღრმა წვდომით, მსჯელობის უჩვეულო ძალით, ზეცის ყველაზე მიუწვდომელ იდუმალებათა ნათლად და განსაზღვრულად გადმოცემისა და ყველაზე რთულ საკითხთა ადვილად გადაჭრის გასაოცარი უნარით. საბედნიეროდ, მისი გონების მჭვრეტელობით ძალას, რამდენადაც ეს შექმნილი კაცობრივი გონებისთვისაა შესაძლებელი, შეეცნო ყოველთა შემოქმედი ღმერთი, სრულიად შეესატყვისებოდა ძალაც შემეცნებულის გადმოცემისა. ძლიერი, წარუშლელი ზემოქმედება, რომელსაც გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების მკითხველი განიცდის, განპირობებულია მაღალი სტილისათვის დამახასიათებელი სიმწყობრის, მრავალფეროვანი წარმოსახვების, უხვად წარმოდგენილი მხატვრული ხერხების, ცოცხალი სახეებისა და ფერწერული ანალოგიების შეერთებით საკვირველ სიწრფელესა და გულითადობასთან.

ჩვენთვის წმ. გრიგოლის 45 სიტყვაა ცნობილი. მათი უმეტესი ნაწილი მსმენელთა წინაშეა წარმოთქმული, ჩაწერილი სწრაფად მწერალთა მიერ და შემდეგ თავად ავტორისაგან გასწორებული. ფიქრობენ, რომ იმპერატორ იულიანე განდგომილის წინააღმდეგ

წარმოთქმული ორი სიტყვა მხოლოდ დაიწერა და არასოდეს წარმოთქმულა; ხოლო რაც შეეხება სიტყვას, რომელშიც იგი თავს იმართლებს მამისაგან მღვდლად კურთხევის შემდეგ პონტოში გაქცევის გამო, წარმოთქმისას შედარებით მოკლე ყოფილა და განვრცობილი სახე გადამუშავების შედეგად მიუღია.

სიტყვათა დიდი ნაწილი დოგმატური ხასიათისაა და ძირითადად ერთარსება სამპიროვან ღმერთზე ქრისტიანული მოძღვრების განმარტებას ეძღვნება.

სანიმუშოდ განვიხილავთ მის მიერ იესო ქრისტეზე უკიდურესი არიოზელების, ე. წ. ევნომიოსელთა, სწავლების გასაბათილებლად კონსტანტინეპოლში წარმოთქმულ ხუთ სიტყვათაგან პირველს, რომელიც ფაქტობრივად შესავალს წარმოადგენს დანარჩენ ოთხ სიტყვაში გადმოცემული ღმრთისმეტყველებისათვის. თავის მხრივ, მას საკუთარი შესავალი აქვს, რომელშიც გრიგოლი, მათ, ვინც სიტყვებით ეშმაკობაში დახელოვნებულნი არიან და ამპარტავნობენ, აფრთხილებს, რომ ღმრთისგან განკითხვის ჟამი აუცილებლად დაუდგებათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ისინი შორს დგანან ჭეშმარიტებისა და იესო ქრისტეს სწავლებისაგან, ქედმაღლურად მოძღვრავენ სხვებს, სნეულნი არიან ძიებისა და კამათისათვის, რის გამოც სწორედ მათგან „იქმნებიან შურნი, ჴდომანი, გმობანი, იჭუნი ბოროტნი“ (I ტიმ. 6,4).

კარგი იქნებოდა, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს, ისინი ისევე მარჯვენი ყოფილიყვნენ სიბრძნის საქმიან სიყვარულში, როგორც ენა აქვთ მარჯვე და სიტყვებით, როგორც კოჭებით, ისე თამაშობენ. ღმრთისმოსაობის ნაცვლად მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, როგორ წამოჭრან, ან გადაწყვიტონ რომელიმე საკითხი. ყველა ეპოქისათვის საერთოა და ნაცნობი გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ დახატული სახე ფუჭი და ამაო კამათის მოყვარულისა, რომლის მთელი ნიჭიერებაც მხოლოდ უსარგებლო კამათის წამოჭრასა და მის წარმართვაში მჟღავნდება. „ყველა მოედანზე მათი სიტყვები უნდა ისმოდეს, ყველა ნადიმზე მოწყენილობა უნდა ჩამოაგდონ

ფუჭი მეტყველებითა და უგემოვნებით, ყველა დღესასწაულს უნდა დაუკარგონ საზეიმო განწყობილება“, – წერს მათ შესახებ იგი.

გრიგოლმა კარგად იცის, რომ ამგვართათვის მისი ეს სიტყვაც შეიძლება ქილიკისა და შეპასუხების საბაბი გახდეს, რადგან, როგორც ეს უვიცებსა და უტიფრებს სჩვევიათ, თავხედურად ამტკიცებენ, რომ ყველაფერი იციან და ყოველივეს შესწავლა შეუძლიათ.

მათგან გასხვავებით, გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, ჯერ ერთი, ბრძნად მეტყველება ღმრთის შესახებ ყველას არ შეუძლია, ხოლო ვისაც შეუძლია, მან უნდა იცოდეს, რომ ამისთვის შესაფერისი დრო, მსმენელი და თემა უნდა შეარჩიოს, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიბრძნისმეტყველება არა ყოველთვის, არა ყველას წინაშე და არა ყველა საკითხზე დასაშვებია“. 1) ღმერთზე ბრძნული საუბარი შეუძლია მხოლოდ მას, ვინც სული და სხეული განიწმინდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, იღვწის, რომ განიწმინდოს, ვინც ცხოვრება ჭვრეტაში გაატარა, ან ატარებს. ამისთვის კი ამქვეყნიურ საზრუნავთაგან მოცლაა საჭირო, როგორც ამას თავად ღმერთი შეგვაგონებს დავით წინასწარმეტყველის პირით: **მოიცალეთ და გულისკმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი** (ფს. 45,11). 2) ვის წინაშე შეიძლება საუბარი ღმერთზე? მათ წინაშე, რომელნიც გულმოდგინედ ცდილობენ გარკვევას რწმენის საკითხებში და არა იმათთან, რომელნიც ამგვარ საკითხებზე ცხენთა შეჯიბრის, სანახაობათა ხილვისა და სიმღერათა მოსმენის შემდეგ მსჯელობენ. მათთვის ეს საუბარი გართობის ნაწილია, რათა კიდევ ერთხელ იკამათონ და თავიც გამოიჩინონ დახვეწილი გამოთქმებით. 3) რაზე უნდა ვისიბრძნისმეტყველოთ და რა ზომით? იმაზე, რაც ჩვენი გონებისათვის მისაწვდომია და იმ ზომით, რამდენსაც მსმენელის გონებრივი უნარი შესწვდება. სხვა შემთხვევაში მსმენელს მისთვის რთული და გაუგებარი სწავლება შეიძლება იმ ტვირთად ექცეს, რომლის სიმძიმეც მას ქვეშ მოიყოლებს.

რა თქმა უნდა, შესაფერის დროს გრიგოლ ღმრთისმეტყველი ღმერთზე სიბრძნისმეტყველებისათვის მოითხოვს და არა მისი მოხ-

სენიებისა და დიდებისათვის; რაც შეეხება ხსოვნას ღმრთისა, მისი აზრით, იგი „კიდევ უფრო აუცილებელია, ვიდრე სუნთქვა“. ღმერთი არა მხოლოდ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, არამედ გულით, გონებითა და კეთილი საქმეებით მარადის უნდა ვადიდებდეთ. ამასვე გვასწავლის მეფსალმუნე დავით მეფეც: **ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა** (ფს. 32,1).

„ასე რომ, – განმარტავს წმ. გრიგოლი, – ვკრძალავ არა მუდმივად მოხსენიებას ღმრთისა, არამედ ლაპარაკს მასზე, მაგრამ არც ლაპარაკს, თითქოს იგი ცოდვა იყოს, არამედ ღმრთისმეტყველებას შეუფერებელ დროს, არა სწავლებას მოძღვრებისა, არამედ უზუმოებას სწავლებისა “.[16] თუმცა თაფლი თაფლია, მაგრამ ზედმეტად მისი მიღება საპირისპირო შედეგს – გულისრევას იწვევს.

ბრძენი სოლომონის მსგავსად, რომელიც გვასწავლის, რომ ყოველივეს თავისი დრო აქვს (ეკლ. 3,1), გრიგოლ ღმრთისმეტყველიც თვლის, რომ თვით მშვენიერიც კი ვერ იქნება მშვენიერი, თუკი იგი უშვერად წარმოიშობა, ისევე როგორც ყვავილი სრულიად შეუფერებელია ზამთრისათვის, მამაკაცის სამოსი დედაკაცისათვის და დედაკაცისა – მამაკაცისათვის, გეომეტრია გლოვის ჟამს და ცრემლები ნადიმისას.ზემოთქმულიდან გამომდინარე, იგი თავისთავს მიზნად უსახავს იმ საზღვრებში ისიბრძნისმეტყველოს, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანს შეეფერება (Eisw twn hmeterwn orwn filosofwmen) და არ იგალობოს გალობაჲ უფლისა „ქუეყანასა უცხოსა“ (ფს. 136,4), ანუ განურჩევლად ყველას – უცხოსა თუ თავისიანის, მტრისა თუ მეგობრის, კეთილად განწყობილისა თუ ბოროტმზრახველის გასაგონად.

რამდენადაც ქრისტიანობის მტრები დასაყრდენს თავიანთ ცრუ სწავლებაში ვერ პულობენ, მას ჭეშმარიტი მოძღვრების გადმოცემის სუსტ მხარეებში ეძიებენ; ამიტომაც ესხმიან თავს გააფთრებით მისი გადმოცემისას თუნდაც უნებლიეთ დაშვებულ შეცდომასა თუ უზუსტობას.

[16] **პირველი სიტყვა ღმრთისმეტყველებაზე. Gregorius Nazianzenus. Adversus Eunomianos (orat. 27). I. Barbel. Gregor Von Nazianz. Die fünf theologische Reden. Dusseldorf: Patmos – Verlag. 1963, I, 2 გვ. 6.**

თავის მხრივ, წმიდა მამა სიტყვის წარმოთქმას იმათ გასაგონად, რომელთაც სასმენელნი ბილწსიტყვაობითა და მკრეხელობებით აქვთ წაბილწული, არ აპირებს; არც იმას დაუშვებს, რომ ქრისტიანებთან შედარებით უფრო დიდი პატვისცემა სააუგო ზღაპართა მსახურებს – ეშმაკთა თაყვანისმცემლებს ერგოთ, რომელნიც სხვებისთვის – გაუნდობელთათვის თავიანთი სწავლების გამჟღავნებას საკუთარი სისხლის დაღვრას ამჯობინებენ. სიტყვის თქმაცა და დუმილიც ისევე მოითხოვს შესაბამისობას, როგორც სამოსი, საკვები, სიცილი თუ სიარულის მანერა. სიტყვაში გაჯიბრებაც, როცა იგი ღმრთის შობას, შესაქმეს, (გან)კვეთას, გაყოფასა თუ აღლევას ეხება, რჯულის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმ. გრიგოლი ლოგიკურად სვამს კითხვას: რატომ უნდა მოისმინოს ყოველივე ამის შესახებ მან, ვინც მათ ყურს მტრული განწყობილებით უგდებს? რატომ უნდა აქციონ ქრისტიანებმა ბრალმდებელნი მსაჯულებად და მტრებს ხელში მახვილი რატომ უნდა მისცენ?

ამ კითხვებს ასევე ლოგიკურად მოსდევს მომდევნო კითხვა წმ. მამისა: როცა ჭეშმარიტ ღმერთსა და მის მოძღვრებაზე ვსაუბრობთ, დავფიქრებულვართ კი, როგორ შეიწყნარებს ჩვენს სიტყვებს ის, ვინც მხარს მრუშობასა და ყრმათა გახრწნას უჭერს, ვინც ვნებებს ეთაყვანება და არ შეუძლია მოაზრება არაფრისა, რაც სხეულზე მაღლაა? ვინც გუშინ და გუშინწინ აღმართავდა კერპებს ღმერთებისა, რომელნიც ყველაზე ურცხვი საქციელებით არიან ცნობილნი? და თანაც, როგორც ამას მიჩვეული იყო, ნივთიერად, სამარცხვინოდ და უმეცრულად; ის ხომ ჩვენს ღმრთისმეტყველებას საკუთარი ღმერთებისა და ვნებების დამცველად გადააქცევს?(1,6).

კიდევ უფრო მძიმე დარტყმას აყენებენ ეკლესიას ისინი, რომელნიც თუმცა თავს ქრისტიანებს უწოდებენ, მაგრამ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებას საკუთარი მიზნებისათვის ბოროტად იყენებენ, რითაც წარმართებს ეკლესიასთან ბრძოლას უადვილებენ. როცა ე. წ. ქრისტიანები თვითონ ხდებიან **მომპოვნებელ ბოროტისა**

(რომ. I, 30), სარწმუნოების მტრები რატომღა იტყვიან უარს იმაზე, რომ ამით ისარგებლონ?

აი, სამწუხარო შედეგი თანამოსახელეთა – ქრისტიანთა შორის ატეხილი შუღლისა, რომლის მიზეზიც ღმრთის შესახებ მოძღვრების გადაჭარბებული გამომეძიებლობისა და ღმრთისმეტყველებაში გაუმართლებელი სიახლის შეტანის სურვილია. ამ სურვილით შეპყრობილნი ისინი შეშლილებს ემსგავსებიან და დაუნდობლად ებრძვიან ყველას, ვინც მის ასრულებაში ხელს უშლის და ეწინააღმდეგება.

ბრძოლას არიოზის ერესის მიმდევრებთან ლოგოსის – **სიტყვა ღმერთის** დასაცავად იგი ჯერ ქრისტიანული მოძღვრებისათვის **უცხო და მრავალრიცხოვანი ლეგიონის** (to allotrion kai ton polun legewna) ჩამოცილებით – მისი ღორების კოლტში შეგზავნით და უფსკრულში ჩაჩეხვით იწყებს.[17] ეს აუცილებლად მიაჩნია იმისათვის, რათა ჭეშმარიტი **ღმრთისმეტყველი, ვითარცა ქანდაკება, თავისი მშვენიერებით გამოკვეთოს** (xeswmen ei~ kallo~, wsper andrianta, 1,6). მაგრამ ვიდრე ამ საქმეს შეუდგებოდეს, გრიგოლ ღმრთისმეტყველი ცდილობს თვითონაც გაერკვეს და მსმენელიც გაარკვიოს, რას ნიშნავს იესო ქრისტეს შესახებ სწავლების გადმოცემისას თავდაუჭერელი სიტყვამრავლობა, ხომ არ არის იგი სენი ენისა? და თუ სენია, რას ნიშნავს ეს ახალი სნეულება, ეს გაუმაძღრობა (aplhstia)? – სვამს კითხვას იგი და ეს მაშინ, როცა არ იქება არც სტუმართმოყვარეობა და არც ძმათმოყვარება, არც ცოლქმრული სიყვარული და არც ქალწულება; არავის უკვირს არც გლახაკთა დაპურება, არც ფსალმუნთა გალობა, არც ღამისთევით ლოცვა, არც ცრემლები? არც სხეულს თრგუნავენ მარხვებით, და არც ღმრთისკენ წარემართებიან ლოცვით?

არც უკეთესს უმორჩილებენ უარესს, ანუ მტვერს (იგულისხმება ხორცი) სულს, ვითარცა სწორად განმსჯელნი საკუთარი აგებულები-

[17] **წმ. მამა სახისმეტყველებისათვის მოხდენილად იყენებს სახარების ეპიზოდს ეშმაკეულის შესახებ (მრკ. V, 2-13; ლკ. VIII, 26-33). რა თქმა უნდა, აქ უცხოსა და მრავალრიცხოვან ლეგიონში ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისათვის უცხო და შეუფერებელი ცრუ სწავლებანი იგულისხმება.**

სა, არც ცხოვრებას აქცევენ სიკვდილზე ზრუნვად, არც ხსოვნით მაღლიდან წარმომავლობისა განამტკიცებენ მეუფებას ვნებათა ზედა, არც მრისხანებას იოკებენ, ამპარტავნობით გაბერილნი და გამხეცებულნი, არც დამამცირებელ განდიდებას სკუთარი თავისა, არც უგუნურ სევდას, არც თავაშვებულ ავხორცობას, არც მეძავურ სიცილს, არც უტიფარ მზერას, არც გაუმაძღარ სმენას, არც უზომო სიტყვამრავლობას, არც უკუღმართ აზრებს და საერთოდ არც არაფერს, რაც ჩვენ წინააღმდეგაა და რასაც ბოროტი ჩვენგანვე იღებს, როცა ჩვენში, როგორც ამას წმ. წერილი ამბობს, **სიკვდილის სარკმელით** (იერემ. 9,21) ანუ გრძნობათა ორგანოების მეშვეობით (aisqhthriwn) შემოდის (1,7).

ხატავს რა მძიმე სურათს ეკლესიაში შექმნილი ვითარებისა, წმ. გრიგოლს თვითონვე გამოაქვს დასკვნა, რომ ეს ვითარება სხეულისა საპირისპიროა იმისა, რასაც ქრისტიანული ცხოვრება გულისხმობს. „ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა“ (pan men oun tounantion I, 7), – წერს იგი და გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ ერეტიკოსთა თავდასხმისაგან სარწმუნოებრივი მოძღვრების სიწმინდეს გულმხურვალედ არც ისინი იცავენ, რომელთაც ეს მოეთხოვებათ. ვითარცა მეფენი, რომელნიც გამარჯვების შემდეგ მტრებს იწყალებენ, ასე აძლევენ ისინი თავისუფლებას სხვათა ვნებებს, თუკი ისინი მათ თავზე ხელს გადაუსვამენ, ხოლო ღმრთის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაბედულად და გაბოროტებით აღიძვრებიან.

ღმრთის სასუფეველში მრავალი სავანეა, სადაც ნეტართა განსვენება და დიდება ელის. ადამიანებს მათი მოპოვება შეუძლიათ. ისინი ამა თუ იმ სავანეში, შესაბამისად მათი რწმენისა, ამქვეყნად გატარებულ სხვადასხვაგვარ ცხოვრებასა და საკუთარ არჩევანს მიჰყავს. ამიტომაც ეწოდებათ მათ გზები, თუმცა სინამდვილეში გზა ერთია და ისიც ვიწრო. ერთი – სათნოებასთან მიმართებით, რომელიც, მიუხედავად მისი მრავალსახეობისა, ერთია; ხოლო ვიწროა მისთვის, ვისაც ამ გზით სიარული გულით სწადია, იმ ჯაფის გამო, რომლის გაწევაც მოუწევს; ბიწიერების გზით მავალთათვის

კი, იგი თავისი გაუვალობითაა ვიწრო.

თვლიან რა, რომ ამხილეს ღმრთის შესახებ ეკლესიის სწავლების სიმწირე, ერესის მიმდევრებმა ყველა სხვა გზაზე უარი თქვეს და მხოლოდ ერთ, როგორც თვითონ წარმოუდგენიათ, გონებით მჭვრეტელობის გზას დაადგნენ, რასაც, თავის მხრივ, გრიგოლ ღმრთისმეტყველი ყბედობასა (adolescia) და ბოდვას (terateia) უწოდებს და პავლე მოციქულს იმოწმებს, რომელიც ნიჭთა ჩამოთვლისას მკაცრად საყვედურობს მათ, ვინც ამ გზას არა ღმრთისგან მოწოდებით, არამედ თვითნებურად ირჩევს, როცა წერს: **ნუ ყოველნი მოციქულ იყვნენა? ნუ ყოველნი წინაწარმეტყველ? ნუ ყოველნი მოძღუარ?** (I კორინ. 12,29).

წმინდა გრიგოლი მკაცრად ამხელს ერეტიკული მიმდინარეობის იდეოლოგიურ მოძღვრებს, რომელნიც საკუთარი სწავლების მომხრეთა და ეკლესიის მოწინააღმდეგეთა გამრავლების მიზნით, სარწმუნოების საკითხებზე მსჯელობისათვის სრულიად უვიც ადამიანებსაც კი აქეზებენ, ხელს უწყობენ მათ ვითომდაც ღმრთისმეტყველებად წარმოჩენას, მაშინ, როცა სინამდვილეში მათი გონებრივი უძლურებით სარგებლობენ, ამიტომაც სრულიად სამართლიანად საყვედურობს შედარებით გონებასუსტ ადამიანთა საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოყენებისათვის:

„ვთქვათ, შენ მაღალი ხარ, მაღალთა შორის უმაღლესი, თუ გნებავს, ღრუბლებზე მაღალიც კი; მჭვრეტელი უხილავთა, მსმენელი გამოუთქმელთა, ზეცად ატაცებული, ვითარცა ელია; ვითარცა მოსე, ღირსქმნილი ღმრთის გამოცხადებისა და ზეციერი, ვითარცა პავლე; რატომ ხდი ერთ დღეში სხვებს წმინდანებად, რატომ ასხამ ხელს ღმრთისმეტყველებად, და თითქოს, შთაბერავ რა მათ განსწავლულობას, უმეცარ სწავლულთა გუნდებს რატომ ქმნი? რატომ ხლართავ ობობას ქსელში შედარებით უძლურებს და თანაც ისე, თითქოს ეს ბრძნული და დიდი საქმე იყოს? რატომ აღძრავ სარწმუნოების წინააღმდეგ კრაზანათა ბუდეებს? რატომ ამრავლებ ჩვენ წინააღმდეგ კამათის ხელოვანთ, ვითარცა ძველად მითები გიგანტებს? ვითარცა რაღაც ნაგვის გროვას, ერთ თხრილსა შინა რისთვის

კრებ ყველას, ვინც კი კაცთა შორის ქარაფშუტა და არაკაცია, პირფერობით კიდევ უფრო აქალაჩუნებ და შექმენი რა ურჯულოების ახალი სახელოსნო (ergasthrion), მათი უგუნურებით უგუნურად რისთვის სარგებლობ?“ (I,9).

უკეთუ ენის გარდაუვალ ბატონობას თავს ვერ აღწევენ და მისი ქავილის დაძლევა მათ ძალებს აღემატება, გრიგოლ ღმრთისმეტყველი ერეტიკოსებს მრავალ სხვა საგანზე მიუთითებს, რომლისკენაც ჭეშმარიტი სარგებლის მისაღებად ეს სნეულება უნდა მიაქციონ. მაგალითად, შეუძლიათ დაამხონ პითაგორასეული **მდუმარება**, ორფიკოსთა **ცერცვები** (kuamou~) და ეს ბრტყელი გამოთქმა „თავად მან თქვა“ – Auto~ efa; პლატონის იდეები, გადასახლებანი ჩვენი სულებისა და წრებრუნვანი, გახსენებანი (anamnhsei~) და უშვერი ტრფობანი, მიმართული სულისკენ მშვენიერ სხეულთა მეშვეობით (tou~ ou kalou~ dia twn kalwn swmatwn epi yuchn erwta~); ეპიკურეს უღმერთობა, ატომები და უგუნური ტკბობა, არისტოტელეს მწირი განგება (pronoian), ხელოვნური, უსიცოცხლო სწავლებანი სულზე და კაცობრივი შეხედულებანი დოგმატების შესახებ (twn dogmatwn), ქედმაღლობა სტოიკოსებისა (orfun), გაუმაძღრობა (licnon) და მასხრობა (agoraion) კინიკოსებისა; სიცარიელე (to kenon) და სისავსე (to plhre~) მონაჩმახთა (twn lhrhmatwn) ღმერთების, მსხვერპლშეწირვის, კერპების, კეთილთა და ბოროტ დემონთა, ღმერთთა და სულთა გამოძახების (qeagwgia~, yucagwgia~) და ვარსკვლავთა ძალის შესახებ, რომელთაც სამისნოებში ჰყვებიან.

იცის რა, რომ ამპარტავნობით შეპყრობილმა, პატივისა და დიდების მაძიებელმა ე. წ. ქრისტიანებმა ზემოხსენებული შეთავაზებული თემები, ვითარცა უმნიშვნელონი და უკვე მრავალგზის მხილებულნი, შეიძლება სიტყვების მიძღვნისათვის უღირსად ჩათვალონ, წმ. გრიგოლი მათ სამყაროს ან სამყაროთა შესახებ, მატერიასა და სულზე, გონიერ არსებათა კეთილსა და უკეთურ ბუნებაზე, აღდგომაზე, სამსჯავროზე, სამაგიეროს მიზღვასა და ქრისტეს ვნებებზე სიბრძნისმეტყველებას სთავაზობს, სადაც შესაძლოა, წარმატებასაც მიაღწიონ, თუმცა, რა

თქმა უნდა, ეს წარმატება უსაფრთხო არ იქნება.

ჩამოაყალიბა რა პირველ სიტყვაში ვის ხელეწიფება ღმერთზე სიბრძნისმეტყველება, რა ჟამს, ვის წინაშე, რა ზომით და რომელ საკითხებზე, მეორე სიტყვაში გრიგოლ ნაზიანზელი უკვე უშუალოდ ღმრთისმეტყველების გადმოცემაზე გადადის და ვედრებით მიმართავს ყოვლადწმინდა სამებას: მამას – რათა მოწყალედ მოხედოს, ძეს – რათა შემწედ ექმნეს და სულს – რათა შთაგონება უბოძოს.

იგი სიამოვნებით ეძლევა ღმრთის გონებით ჭვრეტას, რასაც სიმბოლურად მთაზე ასვლას უწოდებს (მსგავსად წინასწარმეტყველი მოსესი, რომელსაც ღმერთი სინას მთაზე ესაუბრა), რაც ერთდროულად სურს და აშინებს კიდეც: სურს, **სასოებით** ღმრთის სიახლოვის განცდისა, ხოლო ეშინია, საკუთარი უძლურებისა გამო.

გამოცდილების საფუძველზე გრიგოლი ასკვნის, რომ მიუწვდომელია არა მოაზრება იმისა, რომ ღმერთი არსებობს, არამედ შეცნობა იმისა, როგორია იგი, თუმცა ზოგიერთი მისი თვისების შეცნობა შესაძლებელია სამყაროს მიხედვით, რომელიც შექმნა და რომელიც ისევე მეტყველებს შემოქმედზე, როგორც ბარბითი მასზე, ვინც იგი გააკეთა, ან იმის შესახებ, ვინც მასზე უკრავს. ვიდრე ღმრთისმეტყველებაზე წარმოთქმულ მომდევნო სიტყვებში ყოვლადწმიდა სამების პირებსა და უშუალოდ იესო ქრისტეზე – ძე ღმრთისაზე და სულიწმიდაზე ისაუბრებდეს, გრიგოლი აქ ღმრთეების ისეთ ზოგადსა და საერთო თვისებებს წარმოგვიდგენს, როგორიცაა უსხეულობა, გარეშემოუწერლობა, მიუწვდომლობა, გამოუთქმელობა, ყველგან მყოფობა.

სამობით ერთი ღმერთის აღმსარებლობისა და მასზე ტრინიტარული სწავლებისათვის გრიგოლ ღმრთისმეტყველს, ისევე როგორც ბასილი დიდს, სამი ღმერთის (ტრითეიზმი) აღიარებაში სდებდნენ ბრალს. ამიტომ მან დიდი დრო და ენერგია მოახმარა საზოგადოებისათვის იმის განმარტებას, როგორ უნდა გულისხმაეყოთ ერთი ღმერთის სამპიროვნება, რასაც საფუძველი ბასილი დიდის 38-ე წერილმა ჩაუყარა, რომელშიც დადგენილია შინაარსობრივი სხვაობა ტერმინებს **არსსა** და **ჰიპოსტასს** (პირს) შორის.

სამივე პირი არსითა და ყველა თვისებით, გარდა ერთი განმასხვავებელი, საკუთარი თვისებისა (თითოეულისა თვითებაჲ), ერთი და იგივეა. სწორედ პირების ამ საკუთარ თვისებათა აღმნიშვნელ ტერმინთა დაზუსტებაში მიუძღვის განსაკუთრებული წვლილი წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველს, კერძოდ, მამის განმასხვავებელ თვისებას უშობელობა (agennhsia) ეწოდა, ძისას – შობილობა (gennesi~), ხოლო სულიწმიდისას – წარმოვლინება, გამომავლობა (ekporeusi~)[18]. ტერმინის ekporeusi~ სინონიმად წმ. მამა ხშირად იყენებს ტერმინებს proodo~, problhma, ekpemiyi~.

43-ე სიტყვაში „ნათლისღებისათჳს“ ზუსტადაა ჩამოყალიბებული დოგმატური სწავლება ყოვლადწმიდა სამებაზე – მამასა, ძესა და სულიწმიდაზე: „ამას მოგცემ ყოვლისავე ცხოვრებისა შენისა ზიარად და ჴელისა ამპყრობელად, ერთსა მას ღმრთეებასა და ძალსა, რომელი იპოების სამთა მათ შორის ერთობით და სამსა მას შემოჰკრებს განყოფილად. არცა უწესოჲ არს ბუნებითა, ანუ არსებითა, არცა აღორძნდების და დააკლდების გარდამატებულებითა და დამცირებითა. ყოვლითურთ სწორ არს, ყოვლით კერძო იგივე არს, ვითარცა ერთი ცისა შუენიერებაჲ და სიდიდე.

სამთა მიუწდომელთა მიუწდომელი ერთობაჲ – თითოეული თჳსაგან ღმრთად იხილვების, ვითარცა მამაჲ, ეგრეთვე ძჱ, ვითარცა ძჱ, ეგრეთვე სული წმიდაჲ, თითოეულისა თჳთებაჲ დამარხულ არს. ღმერთ არიან სამნივე ზოგად გულისჴმისსაყოფელნი: იგი – ერთარსებისათჳს და ესე – თვითმპყრობელობისათჳს“.[19]

ფასდაუდებელია წვლილი, აგრეთვე, წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა სამების მეორე პირის, ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების ჩამოყალიბება-განმტკიცებასა და იმ გამარჯვებაში, რომელიც ეკლესიამ ქრისტეს წინააღმდეგ ამხედრებულ არიოზის ერესთან ბრძოლაში მოიპოვა.

[18] **Orat. XXVI, 16.**

[19] **გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ნათლისღებისათვის“ // საღმრთისმეტყველო, ასკეტურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დიდი მრავალთავი. გამც. გრიგოლ რუხაძემ. ნაკ. II, სსგ., თბ., 2016, გვ. 123B, 124A.**

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი

პირველი მოსამზადებელი სიტყვა ღმრთისმეტყველების შესახებ ევნომიოსელთა[1] წინააღმდეგ[2]

1. სიტყვას სიტყვაში გაწაფულთა მიმართ წმინდა წერილის სიტყვებით დავიწყებ: **აჰა, მე შენზედა, ქედმაღლობავ** (იერემ. 50, 31), რადგან არიან, მართლაც არიან ადამიანები, რომელთაც ჩვენი სიტყვების მოსმენისას სმენაცა და ენაც და, როგორც ვხედავ, უკვე ხელებიც ექავებათ და რომელნიც უწმინდური ფუჭმეტყველებით (bebhloi~ kenofwniai~), მათთვის ცრუმეცნიერული შეპასუხებებით (antiqesesi) და სრულიად უსარგებლო **სიტყვიერი ბრძოლებით** (tai~ logomaciai~)[3] ხარობენ. ასე უწოდა ხომ ყოველივეს, რაც სიტყვაში ზედმეტი და ამაოა (periergon), **შემოკლებული სიტყვის** (logou suntetmenou)[4] მქადაგებელმა და თავსმდებმა პავლემ, მეთევზეთა მოწაფემ და მასწავლებელმა. კარგი იქნებოდა, რომ ისინი, რომელთაც ჩვენი სიტყვა ეხება, რამდენადმე მაინც საქმიან სი-

[1] **კვიზიკის ეპისკოპოსი ევნომიოსი არიოზის ერეტიკული სწავლების აღმავლობის მეორე ეტაპზე უკიდურეს არიოზელთა ფრთას მეთაურობდა. ის და მისი მიმდევრები, ე. წ. ევნომიოსელები, ამტკიცებდნენ, რომ ძე ღმერთი – იესო ქრისტე არა მხოლოდ ერთარსი არ იყო მამისა, არამედ არც არსით მსგავსი. გარდა ამისა, მათი მტკიცებით, კაცობრივ გონებას ღმრთის სრული წვდომა, ანუ მისი არსის შეცნობაც კი შეეძლო. ამ ცრუ სწავლების მხილებაში, წმ. ბასილი დიდთან ერთად, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველსაც, რომელმაც ერესის შემოტევისაგან ქრისტიანული ღმრთისმეტყველების დასაცავად ხუთი სიტყვა წარმოთქვა.**

[2] **Gregorius Nazianzenus, Adversus Eunomianos (orat. 27). TLG 2022.007. J. Barbel, Gregor von Nazianz. Die fünf theologischen Reden, Düsseldorf: Patmos-Verlag, 1963: 38-60.**

[3] **I ტიმ. VI, 20,4. გიორგი მთაწმიდელს ახალ აღთქმაში ტერმინები** antiqesesi **და** logomaciai~ **ქართულად გადმოაქვს ტერმინებით: სიტყჳს-გება და სიტყუათა ლალვა.**

[4] **რომ. IX, 28.**

ბრძნისმოყვარეობაშიც ისე ყოფილიყვნენ გაწაფულნი, როგორც ენა აქვთ გაწაფული კეთილშობილურ და გამორჩეულ სიტყვათა დაძებნისათვის. მაშინ, ალბათ, ვიდრე ახლა, უაზრო და უცნაურ ბრძნობას უფრო იშვიათად და შედარებით ნაკლებადაც მიეცემოდნენ, და მათ სასაცილო საქმიანობაზე მეც სასაცილოდ ვიტყვი: სიტყვებით, ვითარცა კოჭებით არ ითამაშებდნენ.

2. დატოვეს რა ყველა გზა ღმრთისმოსაობისა, მხოლოდ ერთს ხედავენ: წამოჭრან ან გადაჭრან რომელიმე საკითხი და იმ მოჭიდავეებს ემსგავსებიან, რომელნიც სანახაობებზე საჯაროდ არა იმგვარ ორთაბრძოლას წარმოადგენენ, რომელსაც გამარჯვებისაკენ ორთაბრძოლის წესებით მიჰყავს, არამედ იმგვარს, რომელიც უმეცართა მზერას იტაცებს და ქება-დიდებასაც მათგან იხვეჭენ. ყველა მოედანზე მათი სიტყვები უნდა ისმოდეს, ყველა ლხინი უაზრო ლაყბობითა და უსიამოვნო განცდებით უნდა დაამძიმონ, ყველა დღესასწაული მწუხარებად უნდა აქციონ, სადღესასწაულო ხასიათი დაუკარგონ და სევდა-ნაღველით აავსონ, ხოლო ნუგეში ამ დიდი უბედურებისას საკითხთა გამოძიებაში ეძიონ; ყოველ საქალებოს – გულუბრყვილოთა ამ სააღმზრდელოს, სიმშვიდე დაუკარგონ და ნაჩქარევი სიტყვით ყვავილი კდემამოსილებისა წარსტაცონ.

რაკი ყოველივე ეს იქამდე მივიდა, რომ ბოროტება აუტანელი და მოუთმენელი გახდა და საფრთხე მდაბალ ხელობად გადაქცევისა, თვით ჩვენს დიდ საიდუმლოსაც[5] დაემუქრა, დაე, ჩვენმა მეთვალყურეებმა იმდენი მოთმინება მაინც გამოიჩინონ, რომ როცა ჩვენი მამობრივი გულები ღელავენ, და გრძნობები ჩვენი, როგორც ღმრთეებრივი იერემია ამბობს, **იგვემებიან** (იერემ. 4,13), მათ შესახებ წარმოთქმული ეს სიტყვა გააფთრების გარეშე შეიწყნარონ და ცოტა ხნით მაინც, თუკი შეძლებენ, ენა მოთოკონ და სმენა მოგვაპყრონ, ამით უთუოდ, სრულიად არაფერი დააკლდებათ. ან მსმენელთა სასმენელთათვის ვილაპარაკებ და სიტყვა რაღაც ნაყოფს გამოიღებს, ანუ თქვენთვის სასარგებლო გამოდგება, რადგან, თუმცა მთესველი

[5] იგულისხმება ქრისტიანული რელიგია.

სიტყვას ყველას გულში სთესს, მაგრამ ნაყოფს მხოლოდ კეთილი და ნაყოფიერი გული იძლევა; ან კიდევ წადით და ეს ჩვენი სიტყვა, იპოვით რა მასში შეპასუხებისა და ჩემი ლანძღვა-გინებისათვის მრავალრიცხოვან თემას, კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი სიტყვას, შეუსაბამოს თქვენი კანონისა და უცნაურს თქვენთვის, რომელნიც მტკიცედ და გაბედულად, მეშინია ვთქვა – უმეცრულად და თავხედურად, ირწმუნებით, რომ ყველაფერი იცით და ყოველივეს სწავლება ძალგიძთ.

3. ყველას არ ძალუძს სიბრძნისმეტყველება ღმრთის შესახებ, დიახ! ყველას არა. იგი არც იაფად შეიძინება და არც მიწაზე მხოხავთა საქმეა. აქვე დავამატებ: სიბრძნისმეტყველება არა ყოველთვის, არა ყველას წინაშე და არა ყველა საკითხზეა დასაშვები, არამედ უნდა ვიცოდეთ როდის, ვის წინაშე და რა ზომით შეიძლება. ღმრთის შესახებ ყველა ვერ ისიბრძნისმეტყველებს; იგი მხოლოდ მათ ხელეწიფება, რომელთაც საკუთარი თავი გამოიძიეს, ცხოვრება ჭვრეტაში განვლეს და უწინარესად სულითაც და ხორცითაც განიწმინდნენ, ან იწმინდებიან, რადგან განუწმენდელისათვის სიწმინდესთან შეხება ისევე საფრთხილოა, ვითარცა მზის სხივი სუსტი მხედველობისათვის.

და როდის შეიძლება? მაშინ, როცა თავისუფალნი ვართ გარეშე ბიწისა[6] და შფოთისაგან, როცა წარმმართველი (hgemonikon) ძალა[7] ჩვენში უვარგისსა და ცდომილ სახეებს არ ერწყმის, ვითარცა სილამაზე დაწერილობისა უხეირო დაწერილობასთან აღრეული, ან ჭუჭყის სუნთან შეერთებული კეთილსურნელება მირონისა. რამეთუ **მოცალეობა** ჭეშმარიტად საჭიროა **გულისხმისყოფისათვის ღმრთისა** (ფს. 45,11) **და რაჟამს მოვიღო ჟამი, სიწრფოებასა ვშჯიდე** (ფს. 74,2) ღმრთისმეტყველებისა.

და ვის წინაშე? მათ წინაშე, რომელნიც გულმოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს და მის შესახებ, ვითარცა მრავალთაგან ერთ-ერთზე,

[6] ე. ი. როცა ხორციელ მოთხოვნილებებს არ ვემონებით.
[7] ანუ გონება.

სიამოვნებით არ ყბედობენ; და თანაც არა ცხენთა რბოლის, სანახაობათა და სიმღერათა ყურება-მოსმენის შემდეგ და არცა შემდგომად მუცლისა და იმის დაკმაყოფილებისა, რაც მუცლის ქვემოთაა, რადგან, როგორც ტკბობათა ეს ნაწილი, ასევე მათზე ლაღად საუბარიცა და მახვილგონივრული კამათებიც, სწორედ მათთვისაა განკუთვნილი.

რის შესახებ შეიძლება სიბრძნისმეტყველება და რა ზომით? იმის შესახებ, რაც ჩვენთვის მისაწვდომია და იმ ზომით, რა ზომითაც მსმენელს შესწევს ძალა მისი წვდომისა. ზომიერებას გადაჭარბებული სიტყვებიცა და საკვებიც მავნებელია: პირველნი სმენას ვნებენ, მეორენი – სხეულს, ან, თუ გნებავთ, საზიანოა ვითარცა ტვირთი, რომელიც ამღების ძალას აღემატება, ან ძლიერი წვიმები მიწისათვის; მსგავსად ამისა, მსმენელებიც კარგავენ ძველ ძალას, თუკი მათ, ასე ვიტყვი, რთული სწავლებებით დავამძიმებთ და დავთრგუნავთ.

4. იმას როდი ვამბობ, თითქოს ღმრთის მოხსენიება ყოველთვის საჭირო არ იყოს. დაე, ამას ნუ გამოიყენებენ ჩვენს სადევნელად სულსწრაფი ადამიანები, რომელნიც ამისთვის მუდამ მზად არიან, რადგან მოხსენიება ღმრთისა უფრო აუცილებელია, ვიდრე სუნთქვა. ისიც კი შეიძლება, რომ გარდა ამისა, სხვა არც არაფერი ვაკეთოთ. მეც იმათთაგანი ვარ, ვისაც მოსწონს სიტყვა, რომელიც ფიქრს ღმერთზე **დღე და ღამე** (ფს. 1,2), თხრობას მასზე **მწუხრს, დილეულსა და სამხრად** (ფს. 54, 17), ხოლო კურთხევას უფლისა **ყოველსა ჟამსა** (ფს. 33) გვიბრძანებს. თუ საჭიროა, მოსესაც მოვიხმობთ, რომელიც გვეუბნება: **სასუენებელსა შენსა ზედა და აღდგომასა შენსა და სლვასა გზასა შენსა** (II სჯ. 6,7), თუ სხვა რომელიმე საქმის კეთებისას, ხსენებით ღმრთისა სიწმინდე უნდა შევიმოსოთ.

ასე რომ, ვკრძალავ არა მუდმივად მოხსენიებას ღმრთისა, არამედ ლაპარაკს მასზე, მაგრამ არც ლაპარაკს, თითქოს იგი ცოდვა იყოს, არამედ ღმრთისმეტყველებას შეუფერებელ დროს და არა სწავლებას მოძღვრებისა, არამედ უზომოებას სწავლებისა. თაფლიც კი, თუმცა თაფლია, უზომოდ, მოყირჭებამდე მიღებისას გულისრევას იწვევს. სოლომონთან ერთად მეც ვთვლი, რომ **ყოველთათვის ჟამი არს** (ეკლეს. 3,1). თვით მშვენიერიც კი არაა მშვენიერი, როცა იგი წესისა და რიგის გარეშე იშვება, როგორც, მაგალითად, სრულიად შეუფერებელია ყვავილი ზამთრისათვის და სამოსელი კაცისა ქალისათვის, ხოლო ქალისა – მამაკაცისათვის, მწუხარებისას გეომეტრია და ლხინის ჟამს – ცრემლები. რატომ უნდა უგულებელვყოთ დროის შესაფერისობა სწორედ იქ, სადაც მის შესაფერისობას ყველაზე მეტად უნდა ვაფასებდეთ?

5. არა, მეგობარნო და ძმანო, მაინც ისევ ძმებს გიწოდებთ, თუმცა ძმებივით არ იქცევით! ასე ნუ ვიმსჯელებთ, მიზანზე[8] შორს ნუ წავალთ, ვითარცა გახურვებული და თავაშვებული ცხენები, რომელთაც მხედარი – გონება – გადმოაგდეს და კეთილი აღვირი კრძალულებისა სიძულვილით უარყვეს, არამედ ჩვენთვის დადგენილ საზღვრებში ბრძნულად ვიმსჯელოთ. არც ეგვიპტისკენ მივდრკეთ, თავი არც ასირიელებს წარვატაცებინოთ და არც გალობა უფლისა ქუეყანასა უცხოსა ვიგალობოთ (ფს. 36.4), ანუ მოსასმენად ყველასი – გარეშესი თუ ჩვენიანისა, მტრისა თუ მეგობრისა კეთილად განწყობილისა, თუ ბოროტმზრახველისა, რომელიც გულმოდგინედ გვაკვირდება და ნატრობს, უკეთურობათა ნაპერწკალი ჩვენში ცეცხლად აქციოს, თვითონ აჩაღებს მას ფარულად, აბრიალებს, სულს უბერავს, რათა ბაბილონის ხანძარზე, რომელმაც მთელი მისი შემოგარენი გადაწვა, უფრო მაღლა, ზეცამდე აღიწიოს. რამდენადაც თავიანთ სწავლებებში ძალას ვერ პოულობენ, მას ჩვენს უძლურებათა შინა ეძიებენ; ამიტომაც, როგორც ბუზები ჭრილობებს, ისე ესხმიან თავს ჩვენს, როგორ ვუწოდო, – წარუმატებლობებსა თუ შეცოდებებს. მაგრამ ამიერიდან ნუღარ ვიქნებით უმეცარნი საკუთარ თავთა და პატივის არმიმგებნი ღირსების ამგვარ ნიშანთა, არამედ უკეთუ განადგურება მტრობისა შეუძლებელია, ის მაინც ერთხმად ვაღიაროთ,

[8] **დედანშია th~ nussh~, რომელიც ქართულად ცხენთა სარბიელის უკანასკნელ ბოძს ნიშნავს, საიდანაც ასპარეზობის მონაწილე მხედრებს ცხენები უკან უნდა მოებრუნებინათ. ამ შემთხვევაში წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მას ფიგურალურად, მიზნის მნიშვნელობით იყენებს.**

რომ საიდუმლოთა შესახებ საიდუმლოდ უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო სიწმინდეთა შესახებ – სიწმინდით.

მათ წინაშე, რომელთაც წაბილწული სმენა აქვთ, ნუ განვაცხადებთ იმას, რაც ყველასათვის არ უნდა განცხადდეს. ნურც იმას დავუშვებთ, რომ თაყვანისმცემელნი ეშმაკებისა, მსახურნი სამარცხვინო მითების და საქმეთა, პატივისმიგების ღირსნი ჩვენზე მეტად აღმოჩნდნენ. ისინი ხომ თავიანთ სწავლებათა გაუნდობებელთათვის გადაცემას უმალ საკუთარი სისხლის დაღვრას ამჯობინებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ ისევე, როგორც არსებობს რაღაც წესი და რიგი ჩაცმისა, ჭამისა, სიცილისა თუ სიარულისა, ასევე არსებობს – სიტყვისა და დუმილისაც, მითუმეტეს, რომ ჩვენ ღმრთის სხვა სახელწოდებათა და ძალთაგან პირველ ადგილზე სიტყვას ვაყენებთ. დაე, ჩვენი კამათიც სამართლიანი, მართლზომიერი იყოს (წესისა და რიგის მიხედვით წარიმართოს).

6. ღმრთის შობისა და შესაქმის (ktisin), ღმერთზე, რომელიც არაარსებულთაგანია (ex ouk ontwn),[9] (გან)კვეთის (tomhn), გაყოფისა (diairesin) და შერწყმის (analusin) შესახებ რატომ უნდა ისმენდეს ის, ვინც მტრულად განწყობილია? ბრალმდებლებს მსაჯულად რატომ ვაყენებთ? მტერს ხელში მახვილს რატომ ვაძლევთ? რას ფიქრობ, როგორ მიიღებს, ან როგორ გაიგებს სიტყვას ამათ შესახებ ის, ვინც მხარს მრუშობასა და ყრმათა გახრწნას უჭერს, ვინც თაყვანს ვნებებს სცემს და არ შეუძლია მოაზრება არაფრისა, რაც სხეულზე მაღლაა? ვინც სულ ცოტა ხნის წინ თავისთვის აღმართავდა კერპებს, რომელნიც ყველაზე სამარცხვინო საქმეებით არიან ცნობილნი? და თანაც, ჩვეულებისამებრ, ნივთიერად (ulikw~), ურცხვად (aiscrw~) და უმეცრულად (amaqw~)?

იგი ხომ შენს ღმრთისმეტყველებას საკუთარი ღმერთებისა და ვნებების დამცველად გადააქცევს? უკეთუ ამგვარ გამოთქმებს ბოროტად ჩვენ თვითონ ვიყენებთ, მათი დარწმუნება, რომ ისე

[9] **არიოზელები ასწავლიდნენ, რომ რადგან იყო დრო, როცა ძე ღმერთი არ იყო, მაშასადამე, იგი არსად (არსებულად) არაარსებულთაგან (არაარსთაგან) მოვიდა.**

ისიბრძნისმეტყველონ, როგორც ეს ჩვენ შეგვეფერება, განა უფრო ძნელი არ იქნება? უკეთუ ჩვენ თავად ვართ **მომპოვნებელნი ბოროტისა** (რომ. 1,30), ისინი რატომღა არ გადაიღებენ მას, რაც მართლაც გვაქვს? აი, შედეგი ჩვენი ერთმანეთთან ბრძოლისა, სარგებელი იმათგან, რომელნიც **სიტყვა ღმერთისთვის** იმაზე მეტად იღვწიან, ვიდრე ეს თავად **სიტყვას** ესათნოება და იმ გონდაკარგულთა ხვედრს იზიარებენ, რომელნიც ან საკუთარ სახლებს წვავენ, ან ყრმებს გლეჯენ ნაწილებად, ან, თვლიან რა უცხოებად, მშობლებს სახლებიდან დევნიან.

7. მაგრამ სიტყვას მისთვის უცხო მრავალრიცხოვანი ლეგიონი ჩამოვაშოროთ და უფსკრულში დასანთქმელად ღორების კოლტში შევგზავნოთ,[10] ჩვენს თავს მივხედოთ და, ვითარცა ქანდაკება მისი მშვენიერებით, ღმრთისმეტყველი – ჩემი სიტყვის მეორე თემა, გამოვკვეთოთ. უწინარესად ის გავიაზროთ, რას ნიშნავს ასეთი მოშურნეობა სიტყვისა და სნეულება ენისა? რა არის ეს ახალი სენი და ეს გაუმაძღრობა? რისთვის შევიკარით ხელები და ენები აღვჭურვეთ? აღარც უცხოთმოყვარებას ვაქებთ, აღარც ძმათმოყვარებას, აღარც ცოლ-ქმრულ სიყვარულს, აღარც ქალწულებას; რატომ აღარ გვაოცებს არცა გლახაკთა დაპურება, არცა ფსალმუნთა გალობა, არცა ღამისთევით ლოცვაზე დგომა, არცა ცრემლები; არც სხეულს ვთრგუნავთ მარხვით და არც ღმერთთან ვმკვიდრდებით (ekdhmoumen) ლოცვით; არც უარესს ვუმორჩილებთ უკეთესს, როგორც ამას საკუთარი შედგენილობის[11] სწორად განმსჯელნი აკეთებენ და არც ცხოვრებას ვაქცევთ სიკვდილზე ზრუნვად; ვერც ვნებათა ზედა მეუფებას ვიცავთ ხსოვნით ზეციური კეთილშობილებისა (th~ anwqen eugeneia~) და ვერც მძვინვარებას ვთოკავთ, რომელიც თავხედებად და ველურებად გვაქცევს, ვერც თავის განდიდების დამამცირებელ სურვილს, ვერც უგუნურ მწუხარებას, ვერც თავაწყვეტილ ავხორცობას, ვერც მრუშის სიცილს,

[10] **შდრ.: მთ. 8,28-32; მრკ. 5,2-13; ლუკ. 8,26-33.**

[11] **იგულისხმება ადამიანის აგებულება, კერძოდ, მისი ორი ბუნება: ხორციელი და სულიერი.**

ვერც უწესო მზერას, ვერც გაუმაძღარ სმენას (akohn aplhston), ვერც უზომო ლაპარაკს, ვერც ჩვენთვის უცხო (ektopon) აზროვნებას და საერთოდ, ვერც ვერაფერს ვშველით იმათგან, რომელთაც ბოროტი ჩვენ წინააღმდეგ ჩვენგან იღებს, რადგან, როგორც წმინდა წერილი ამბობს, **სარკმელებით,** ე. ი. შეგრძნებათა (aisqhthriwn) მეშვეობით **შემოვიდა** ჩვენში **სიკვდილი** (იერემ. 9,20).

ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა, მსგავსად გამარჯვებულ მეფეთა, რომელნიც დამარცხებულებს ათავისუფლებენ, სხვათა ვნებებს, თუკი ისინი თავზე ხელს გვისვამენ, თავისუფლებას ჩვენც ვაძლევთ, რის გამოც ღმრთის წინააღმდეგ კიდევ უფრო თავხედურად იბრძვიან, ჩვენ კი მათ, სანაცვლოდ უკეთური საქმისა, საზღაურად ბოროტს, კერძოდ, უსჯულოებისათვის – სიტყვის თავისუფლებას (parrhsian) მივაგებთ.

8. მაგრამ **მე გკითხვიდე** მცირედ, გამომეძიებელო და მაცილობელო, **და შენ მომიგებდ,** – ეუბნება ხმა იობს **არმურით გამო და ღრუბლით** (იობ. 38,1-3), – როგორ გსმენია, რამდენი სავანეა ღმერთთან, მრავალი თუ ერთი? უეჭველია, მიპასუხებ, რომ მრავალია და არა ერთი. ისინი ყველანი უნდა აღივსოს, თუ მხოლოდ ერთნი, მეორენი კი არა და ამაოდ განმზადებულნი ცარიელებად დარჩნენ? რა თქმა უნდა, ყველა აღივსება, რადგან ღმერთთან განუსჯელად არაფერი ხდება. შეგიძლია თქმა მისა, რას გულისხმობ ამ სავანეში, – იქაურ განსვენებასა და დიდებას, ნეტართათვის განმზადებულს, თუ სხვა რამეს? ხომ სწორედ ამას და არა სხვას? რადგან ამაში შევთანხმდით, ახლა ის გამოვიძიოთ, არის კი რამე ისეთი, რომელიც ამ სავანეებს მოგვაპოვებინებს, როგორც მე ვფიქრობ, თუ არა? უცილობლად არის; და რა არის იგი?

არსებობს სხვადასხვა სახე ცხოვრებისა (politeia~) და არჩევანისა, რომელთაც, შესაბამისად რწმენისა, ამა თუ იმ სავანეში მივყავართ, რისთვისაც მათ გზებს ვუწოდებთ. ყველა მათგანით უნდა ვიაროთ, თუ ამ გზათაგან რამდენიმეთი? თუ ეს შესაძლებელია, დაე, ყველამ ყველა გზით ვიაროთ, ხოლო უკეთუ არა, მათი უდიდესი

ნაწილით, ხოლო თუ არც ეს შეგვეძლება, ზოგიერთი მათგანით მაინც. თუკი ესეც შეუძლებელია, პატივი მივაგოთ მასაც, როგორც მე მეჩვენება, ვინც საბოლოოდ უპირატესობას ერთ გზას მიანიჭებს.

ეს სიტყვები სწორად გაიგე. როგორ? როცა გესმის, რომ გზა ერთია და ისიც ვიწრო, შენი აზრით, ეს რას ნიშნავს? გზა ერთია სათნოებასთან მიმართებით, რადგან ისიც ერთია, თუმცა კი მრავალ სახედ იყოფა; ხოლო ვიწროა იგი ჯაფისა და იმის გამო, რომ მრავალთათვის გაუვალია, კერძოდ, მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგისათვის, რომელიც ბოროტების გზას ადგას. მეც ასე ვფიქრობ.

თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ უკეთილესო, თითქოსდა მამხილებლებმა ჩვენი მოძღვრების სიმწირისა, რატომ დატოვეთ ყველა სხვა გზა და მხოლოდ ამ ერთი, როგორც თქვენ ფიქრობთ, გონებისა და მჭვრეტელობის, მე კი ვიტყვი, ლაყბობისა (adolescia~) და გამონაგონის (terateia~) გზით რატომ მიემართებით და მიექანებით? დაე, მოციქულმა პავლემ გაგკიცხოთ, რომელიც ნიჭთა ჩამოთვლისას, ამისთვის მწარედ გვსაყვედრობს, როცა ამბობს: **ნუ ყოველნი მოციქულ იყვნენა? ნუ ყოველნი წინაწარმეტყუელ?** (I კორ. 12,9).

9. ვთქვათ შენ მაღალი ხარ, მაღალთა შორის უმაღლესი, თუ გნებავს, ღრუბლებზე მაღალიც კი; მჭვრეტელი უხილავთა, მსმენელი გამოუთქმელთა, ზეცად ატაცებული, ვითარცა ელია; ვითარცა მოსე, ღირსქმნილი ღმრთის გამოცხადებისა და ზეციერი, ვითარცა პავლე; რატომ ხდი ერთ დღეში სხვებს წმინდანებად, რატომ ასხამ ხელს ღმრთისმეტყველებად, და თითქოს, შთაბერავ რა მათ განსწავლულობას, უმეცარ სწავლულთა კრებულებს რატომ ქმნი? რატომ ხლართავ ობობას ქსელში შედარებით უძლურებს და თანაც ისე, თითქოს ეს ბრძნული და დიდი საქმე იყოს? რატომ აღძრავ სარწმუნოების წინააღმდეგ კრაზანათა ბუდეებს? რატომ ამრავლებ ჩვენ წინააღმდეგ კამათის ხელოვანთ, ვითარცა ძველად მითები გიგანტებს? ვითარცა რაღაცა ნაგვის გროვას, ერთ თხრილსა შინა რისთვის კრებ ყველას, ვინც კი კაცთა შორის ქარაფშუტა და არაკაცია, პირფერობით კიდევ უფრო აქალაჩუნებ და შექმენი რა

ახალი სახელოსნო (ergasthrion) ურჯულოებისა, მათი უგუნურებით უგუნურად რისთვის სარგებლობ?

ამაზეც შემეკამათები? მეტყვი, რომ სხვა საქმე არ გაქვს? ენამ შენმა უცილობლად უნდა იბატონოს? ძალა არ შეგწევს, შეაჩერო ტკივილები სიტყვის შობისა? მაგრამ გაქვს შენ სხვა საგანი მრავლად და უხვად და ეს შენი სენი მათკენ მიაქციე სარგებლობის მისაღებად.

10. პითაგორასეული **მდუმარება** (siwphn)[12] დაამხე, ორფიკოსთა **ცერცვები** (kuamou~)[13] და ეს ბრტყელი (ქედმაღლური) გამოთქმა ახალი დროისა: **თავად მან თქვა;** პლატონის იდეები დაამხე, გადასახლებანი ჩვენი სულებისა სხეულებში (metenswmatwsei~) და **წრებრუნვანი** (periodou~), **გახსენებანი** (anamnhsei~) და უშვერი

[12] როგორც ჩანს, გრიგოლ ღმრთისმეტყველს არ მოსწონდა პითაგორას სწავლების მეთოდი, რომელიც მასთან ცოდნის მისაღებად მისულებს ხუთი წლის განმავლობაში დუმილს უბრძანებდა. მოწაფეებს მასწავლებლისათვის კითხვის დასმის უფლება არ ჰქონდათ. მათ მხოლოდ მისთვის უნდა ესმინათ.

[13] გადმოცემის მიხედვით, ორფიკოსებს, ისევე როგორც პითაგორას მოწაფეებს, ცერცვის ჭამა ეკრძალებოდათ. ამ აკრძალვის მიზეზად ზოგი რას ასახელებს და ზოგი რას. ერთი გადმოცემით, აკრძალვის მიზეზი იყო ის ძლიერი მოძრაობა ჰაერისა მუცელში, რომელიც ცერცვის ჭამას მოსდევდა შედეგად. ამავე ავტორთან სხვა ხასიათის ცნობასაც ვხვდებით, კერძოდ, იმ სახლს, რომელშიც პითაგორა და მისი მახლობლები იყვნენ შეკრებილნი, ცეცხლი წაუკიდეს, ფილოსოფოსმა გაქცევაზე უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში ცერცვის ნათესის გადაქელვა მოუხდებოდა. ამიტომაც უთქვამს: „მათ გადათელვას ტყვეობა სჯობს, ხოლო ამამომეტყველებით სახელის გავარდნას – სიკვდილი“. იგი მართლაც შეიპყრეს და მის ორმოცამდე მოწაფესთან ერთად მოკლეს. Диоген Лаэртский. О жизни, учениях и изречениях знаменитых философов. М., **1986.**

"ცერცვის შეხებას [პითაგორა] ისევე კრძალავდა, როგორც, ადამიანის ხორციასას. როგორც ამბობენ, ამის მიზეზს ასე ხსნიდა: როცა საყოველთაო საწყისი და ჩანასახი (აღმონაცენი) დაირღვა, მრავალი რამ მიწის ქვეშ ერთმანეთს შეერწყა, შესქელდა და მთლიანად დალპა, ხოლო შემდგომ მისგან ხელახლა წარმოიშვა ჩასახვა და განყოფა – ისახებოდნენ ცხოველნი, ხოლო იზრდებოდნენ მცენარეები, და სწორედ აქ, ერთი და იმავე ნეშომპალიდან წარმოიშვნენ ადამიანები და ამოიზარდნენ (აღმოცენდნენ) ცერცვებიც. ამის უეჭველობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: უკეთუ ცერცვს დავღეჭავთ და ნაღეჭს მცირე ხნით თაკარა მზეში გავიტანთ, ხოლო შემდეგ მივუახლოვდებით, ადამიანის სისხლის სუნს ვიგრძნობთ; ხოლო თუ ცერცვის ყვავილობის ჟამს ცერცვის ყვავილს, უკვე გამუქებულს, თიხის ჭურჭელში ჩავდებთ, ჭურჭელს თავზე დავახურავთ და მიწაში ჩავფლავთ 90 დღით, ხოლო შემდეგ ამოვთხრით და გავხსნით, ცერცვის ნაცვლად ბავშვის თავი აღმოჩნდება, ან ქალის საშო“. Порфирий. Жизнь Пифагора, დიოგენე ლაერტელის დასახელებულ წიგნში, გვ. 423.

ტრფიალებანი სულის მიმართ მშვენიერ სხეულთა მეშვეობით[14]; ეპიკურეს უღმერთობა, ატომები და არაგონივრული ტკბობა; არისტოტელეს შეზღუდული განგება (pronoian), ხელოვნურობა მსჯელობისა (entecnon), მოკვდავი (qnhtou~) სწავლებანი სულზე და კაცობრივი შეხედულებანი უმაღლეს სწავლებათა შესახებ (twn dogmatwn); ქედმაღლობა (orfun) სტოელთა, გაუმაძღრობა (licnon) და მასხრობა (agoraion) კინიკოსთა; დაამხე ამაოება (to keno~) და სისავსე მონაჩმახთა (to plhre~) ღმერთთა ან მსხვერპლთა, კერპების, კეთილ და ბოროტ დემონთა, მისნობის, ღმერთთა და სულთა გამოძახებისა და ვარსკვლავთა ძალის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს თავგზას უბნევენ.

უკეთუ ესენი, ვითარცა უმნიშვნელონი და მრავალგზის მხილებულნი, სიტყვის მიძღვნის ღირსად არ მიგაჩნია, გსურს იმათ მიუბრუნდე, რაც შენია, და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებასაც

[14] პლატონის აზრით, სიყვარულს ადამიანთა შორის უკვდავების წყურვილი იწვევს. რა მოიწიფება, კაცს შობის სურვილი იპყრობს და იწყებს ძებნას მშვენიერისა, რათა შვას მასში, რადგან მახინჯში შობა არ ძალუძს. ისინი, რომელნიც ამ დროს ხორციელად ორსულდებიან, უპირატესად ქალებისკენ ილტვიან, მათ სიყვარულს ეძლევიან და ბავშვის, ხორციელი მემკვიდრის შეძენის გზით ცდილობენ უკვდავებასა და მარადიულ ცხოვრებასთან ზიარებას. მაგრამ, პლატონის მიხედვით, არსებობენ სულით ორსულებიც; შობისათვის ისინიც მშვენიერ სხეულებს ეძებენ, ხოლო თუ მშვენიერ სხეულში მშვენიერ სულსაც აღმოაჩენენ, ორმაგად იხიბლებიან. ხორციელ ორსულთაგან განსხვავებით, მათი ტრფიალების შედეგად ნაშობი არა ხორციელი მემკვიდრე – ბავშვია, არამედ სიბრძნე და სხვა დანარჩენი სათნოებანი, რომელთაც ამდენ ხანს ჩანასახის სახით დაატარებდნენ და მათი შობა მხოლოდ მშვენიერთან სიახლოვისა და ურთიერთობის წყალობით შეძლეს. როგორც პლატონი ამბობს, ისინი ერთად ზრდიან თავიანთ ნაშიერთ და „მათ შორის უფრო დიდი ერთსულოვნება და მეგობრობა ისადგურებს, ვიდრე ოჯახის დედასა და მამას შორის, რადგან უფრო მშვენიერ და უკვდავ შვილთა სიყვარული აერთებს მათ“. მართალია, პლატონის „ნადიმში“ ადამიანის სიცოცხლის აზრად აბსოლუტური, არამატერიალური, უმაღლესი მშვენიერების – მშვენიერების იდეის ჭვრეტაა გამოცხადებული, მაგრამ ამ საბოლოო მიზნის მისაღწევად გზა ხილულ და გრძნობად საგანთა ჭვრეტიდან „მართებულად გაგებულ მამათმავლობაზე“ გადის. ამიტომაც არის პლატონისეული სიყვარული უშვერი გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა. თბ., 1964. XXVII-XXVIII.

ამიტომაც მიაჩნია სრულიად სამართლიანად წმინდა მამას უშვერად (ou kalou~) პლატონისეული ტრფიალებანი სულის მიმართ (epi yuch~ erwta~) მშვენიერ სხეულთა გამო (dia twn kalwn swmatwn) და ენით სნეულებს მის მხილებასა და დამხობას სთავაზობს.

მათში ეძებ, შენთვის ფართო გზების ჩვენება აქაც შემიძლია. ისიბრძნისმეტყველე, სამყაროს ან სამყაროთა შესახებ, მატერიაზე, სულზე, გონიერ არსებათა კეთილსა და ბოროტ ბუნებებზე, საშინელ სამსჯავროზე, სამაგიეროს მიზღვასა და ქრისტეს ვნებებზე. ამ შემთხვევაში წარმატების მიღწევა სარგებლობის მომტანი იქნება, ხოლო მიუღწევლობა – უსაფრთხო. ღმრთის შესახებ ახლა მცირედ ვისაუბრეთ, მაგრამ შეიძლება მოკლე ხანში უფრო სრულად ვისაუბროთ თავად ქრისტეს, უფლისა ჩვენისა იესოს შესახებ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.